პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე
ს. კ. პ.
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

6 იანვარი
პარასკევი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ., № 4. რედაქცია ღიაა
ყოველ დღე გარდა კვირა
უქმეებისა დილ...

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 1476. მდივნის
№ 1 საერთო №

№ 5 პარასკევი, 6 იანვარი, 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 6 იანვარი, 1922 წ. № 5

Коллекция
Кал. Федосеева-
Грызунова

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დღეს თბილისში იხსნება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების და სპარსეთის კონფერენცია.
— კონფერენცია გამოიმუშავებს მტკიცე, ურყეველ ხელშეკრულებას მეგობრობისა და კეთილმეზობლობისას.
— ეს კონფერენცია ახალი საფეხურია აღმოსავლეთის მჩაგვრელ იმპერიალიზმის დამასუსტებელ ბრძოლის.
— გაუმარჯოს კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობას! გაუმარჯოს მშრომელ ხალხების ძმობას და მეგობრობას!

მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და სპარსეთის კონფერენცია.

დღეს, საბჭოთა საქართველოს დედა ქალაქში გაიხსნება კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი არიან ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები ერთი მხრით, და სპარსეთი მეორე მხრით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელნიც განსაკუთრებული დელეგაციის სახით.

დღეს ოფიციალურათ შეხვდებიან ერთმანეთს წარმომადგენელნი იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც ერთნაირათ იჩაგრებოდენ ათეულ წლების განმავლობაში დამპყრობელ იმპერიალიზმის კლანჭებში. რუსეთის თვითმპყრობელობამ დიდხანს სჯიჯგნა და სწამა როგორც საკუთარი ხალხი, ისე ამიერ-კავკასიის და სპარსეთის ხალხებიც.

ამიერ-კავკასიაში მისი სისხლმოწყული ბატონობა განუყოფელი იყო. სპარსეთის ცოცხალ ტანს კი რუსეთის მეფის მძიმე ქუსლი თელავდა დასავლეთ ევროპის, ინგლისის იმპერიალიზმთან ერთად.

იმპერიალიზმის მიერ აგორებული საშინელი ტალღა ომიანობისა მთელი თავისი სიმკაცრით გადაგორდა სპარსეთის სივრცეზედაც, და აუწერელი ტანჯვა-წვალება მოუტანა სპარსეთის მშრომელ მასსებს, საზარელი ჭრილობებით დასერა სპარსეთის ორგანიზმი.

მაგრამ ისტორიის ჩარხის ერთბაშათ გადატრიალებამ 1917 წლის ოქტომბერში თავისუფლება მიანიჭა არა მარტო რუსეთის ხალხებს, არამედ სპარსეთსაც.

ბოლო მოეღო სპარსეთის წვალებას, იმპერიალიზმის ქუსლის ადგილი დაიჭირა საბჭოთა რესპუბლიკის ძმურ და მეგობრულმა ურთიერთობამ. საბჭოთა რუსეთმა არა თუ ერთხელ და სამუდამოთ უარჰყო თვითმპყრობელობის პოლიტიკა სპარსეთში და მთელს აღმოსავლეთში, არა თუ დასცალა სპარსეთი რუსეთის ჯარებისაგან, მან ხელი აიღო ყველა იმ სიმდიდრეზე, კონცესიებზე და სხ., რითაც ძველი რუსეთი სჩაგრავდა სპარსეთს და აქარწყლებდა მის დამოუკიდებლობას.

1921 წ. 26 თებერვალს მოსკოვში დადებული ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და სპარსეთს შუა საუკეთესო გამომხატველია იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებს ახალი, მშრომელთა რუსეთი.

ეს ხელშეკრულება ეყრდნობა იმ ძირითად პრინციპებს, რაიც დამახასიათებელია საერთოდ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. შეადგენს მისი საგარეო პოლიტიკის არსს.

მოსკოვის ხელშეკრულებაში თითქმის სისვსებით ამოწურულია საკითხი იმ ურთიერთობათა, რომელნიც დამყარდენ და უნდა გამტკიცებულ იქნენ საბჭოთა რესპუბლიკებსა და მეზობელ სახელმწიფოთა შორის. ამიტომ პოლიტიკური მხარე მოლაპარაკებისა, რომელიც დღეს დაიწყება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების და სპარსეთის სახელმწიფოს შორის, უკვე გარკვეულათ უნდა ჩაითვალოს, მას ესაჭიროება მხოლოდ ფორმალურათ ჩამოყალიბება. სამაგიეროთ ბევრი საკითხები ურთიერთობის დანარჩენ ფორმების როგორც სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვ. ხელშეკრულება მოითხოვენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას, შეთანხმებას მთავარსა და წვრილმანებში.

აი ეს საკითხები მიიქცევენ კონფერენციის მთავარ ყურადღებას.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იმ გულწრფელობის და ურთიერთ ნდობის შედეგათ, რომელიც ახასიათებს საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკას მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ, ჩვენ მივიღებთ რამდენიმე დღის განმავლობაში მტკიცეთ და ყველა მონაწილე მხარეებისთვის სასარგებლო ხელშეკრულებას, რაიც საფუძვლათ დაედება ერთი მხრით საბჭოთა აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს და მეორე მხრით სპარსეთის კეთილმეზობლურ არსებობას

შრომის ბეგარის შრომის გადასახადით შეცვლა

მრეწველობის მუშა-ხელით მომარაგების ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს სოფლის მცხოვრებლების შრომის და ტვირთ-საზიდ ბეგარაზე გაწვევა. არაფერი არ იწვევს სოფლებში იმდენ უკმაყოფილებას და საჩივრებს, როგორც ბეგარის გატარება, ვინაიდან ის დამყარებულია იძულებაზე. ამ საკითხის გაუგებრად და უსისტემობით ჩატარება ლოდათ აწევს სოფლის მეურნეობას, უშლის ხელს და აფერხებს მის ნივთიერებას.

საერთო ეკონომიური პირობების შეცვლის ეგრედ წოდებულ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროს, შრომის ორგანიზაციის იძულებითი პრინციპი შეიცვალა მუშა-ხელის თავისუფალ დაქირავებაზე, მხოლოდ იძულება დარჩა როგორც უფლება, რომელიც გამოყენებული იქნება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ამას ითხოვს სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები.

იბადება საკითხი, უნდა დარჩეს თუ არა ამ ახალ პირობებში შრომის და ტვირთზიდვის ბეგარა რომელიც მხოლოდ აშენებულია იძულებაზე? ბევრი ამ საკითხს სწყვეტს უარყოფითად, და დარწმუნებულია რომ შრომის ბეგარა სრულებით არ არის საჭირო. საკმარისია მათ საპასუხოდ გადავხედოთ ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობას. რამოდენიმე წლის იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა, ჩვენ გარეშემო და ნაწილობრივად ჩვენშიდაც, დანგრევამდი მიიყვანა სახალხო მეურნეობა; ტრანსპორტი, რკინის გზები, გზა-ტკეცილები, სარწყავი არხები. მათ შესაკეთებლად 1914 წლიდან არავის უზრუნვია და უფიქრია. გზა-ტკეცილები უბრალო შარა გზათ გადაიქცნენ, სარწყავი არხები სრულიად მოიშალა და ციების გავრცელების გარდა ის არაფრად ვარგა. საჭიროა რკინის გზების მასიური დამზადება, სასურსათო გადასახადით მოკრებილ სურსათის გადაზიდვა და სხვა.

ყველა ზემომოყვანილის შესრულების აუცილებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მხოლოდ იბადება საკითხი: შეიძლება თუ არა ყველა ამის შესრულება თავისუფალი დაქირავებით და არა ბეგარით? ეს უარსაყოფელია ორი მოსაზრებით, ვინაიდან ერთი მხრივ საერთო ეკონომიურ კრიზისის გამო ჩვენ სამეურნეო ორგანოებს არ მოეძებნება ჯერ ჯერობით საკმაო საშუალებანი თავისუფლად დაქირავებულების სამუშაო ხელფასით დასაკმაყოფილებლად და მეორე მხრივ, კიდეც რომ ქონდეთ, ვერ შესძლებენ ამ მასიურ და დროებით სამუშაოებისათვის იშოვნონ თავისუფალი მუშახელი. ეს ორი მოსაზრება და ჩვენი წარსული რამოდენიმე თვის პრაქტიკაც ქმნის აუცილებლობას შრომის და ტვირთ-საზიდავ ბეგარის დატოვებისას.

მხოლოდ ბეგარამ უნდა მიიღოს სხვა ხასიათი, სრულებით უნდა შეიცვალოს წესი მისი ჩატარებისა. აქამდე ის ტარდებოდა უწესოდ, არ იყო განსაზღვრული ნორმა, საჭიროებისდაგვარად გამოყავდათ სამუშაოდ, ერთ ნაწილს უხდებოდა ხშირად გამოსვლა, ხოლო მეორე სულ თავისუფალი იყო. ბეგარის განაწილებაში მცხოვრებთა შორის არ იყო თანასწორობა. ვინც მოხვდებოდათ ის გამოყავდათ. ამას ემატებოდა კიდევ სამეურნეო ორგანოების მიერ გაყვანილების არა რაციონალური მოხმარება მუშაობის გეგმის და სამუშაო საშუალებების უქონლობის მიზეზით.

ეს განუსაზღვრელობა, უსისტემობა და უთანასწოროთ განაწილება ქმნიდა უკმაყოფილებას და, უნდა ითქვას, სამართლიანსაც. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა სასოფლო მეურნეობის განვითარებას და უკარგავდა ხალისს სოფლის მეურნეს სამუშაო საქონლის გამრავლებაში და მისდამი ფრთხილად მოპყრობაში.

ამისთვის შრომის და ტვირთსაზიდავი ბეგარა უნდა შეიცვალოს გადასახადად, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო სამუშაოთა შესასრულებელ სავალდებულო დღეებში ყველა შრომის უნარიან მცხოვრებთათვის და მუშა-საქონლისათვის. ეს დღეები უნდა იქმნას განსაზღვრული, რომლის ზევით არ უნდა ხდებოდეს ბეგარაზე გამოყვანა. ასეთი შრომის გადასახადი იქნება არა კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური. ყველა კერძო პირი პასუხს აგებს თავის თავზე ამ გადასახადის შეუსრულებლობისათვის. ასეთი წესის დროს, საჭირო არ იქნება რაიმე განსაკუთრებული ზომები იძულებისა. ყველას წინდაწინვე ეცოდინება თუ რამდენი დღე უნდა იმუშაოს მან სახელმწიფოს სასარგებლოდ.

რამდენი დღით უნდა განისაზღვროს შრომის და ტვირთ საზიდვის გადასახადი? ამ საკითხს უნდა მიუდგეთ სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ და ავიღოთ იმდენი დღეები, რომლის მოკრება სოფლის მეურნეობას ზიანს არ მიაყენებს. საერთოდ სოფლის მეურნეობისათვის საჭიროა არა უმეტეს 190 სამუშაო დღისა, დანარჩენი კი 110 უქმეების გარდა თავისუფალია მეურნეობისაგან და ხმარდება სხვა და სხვა ოჯახურ მოთხოვნილებას; შეშის დამზადება, ვაჭრობა და სხვა. აქედან შეიძლება გადასახადის განსაზღვრა მაგალითად 20-ან 25 დღით. რუსეთში მიიღეს 6 დღე, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენას მრეწველობის მხრივ და იმას, რომ მეურნეობის აღდგენას ჩვენ ახლად უდგებით, რუსეთში კი დიდი ხანია დაიწყეს, გადასახადის ნორმა გაცილებით მეტი უნდა ავიღოთ, ვიდრე რუსეთში. მეორე მხრივ რუსეთში გადასახადი ნაწილდება როგორც მამაკაცებზე ისე დედაკაცებზე, ეს კი იძლევა გადამხდელების ორჯერ მეტ რიცხვს. ჩვენში შესაძლებელი იქნება გადასახადის განაწილება მხოლოდ მამაკაცებზე. ამ მოსაზრებით რუსეთში დაწესებული ნორმა ჩვენში უნდა გადიდებულ იქმნას 4-ჯერ მაინც. დაახლოვებით ნორმა უნდა განისაზღვროს არა ნაკლებ 20 დღისა. ეს ნორმა შეამოკლებს ძველ ბეგარების რიცხვს, რომელიც დაახლოვებით წელიწადში ისაზღვრებოდნენ 48 დღით თვითეულისათვის. იყო შემთხვევები, როცა გამოყვანა სწარმოებდა გაცილებით მეტად ვიდრე ეს რიცხვი...

ეს განსაზღვრული ნორმა ე. ი. 20 უნდა იქნეს ყოველ განსაკუთრებულ სამუშაოებზე (შეშის დამზადება-გადატანა, გზების შეკეთება და სხვა გადატანილი ნარდ სამუშაოზედ ე. ი. სამუშაო დღეები შეიცვალოს სამუშაო ერთეულებზედ, მაგალითად ერთი საჟენის შეშის დასამზადებლად საჭიროა ერთი კაცისათვის დაახლოვებით ექვსი დღე, გადატანა 15 ვერსის მანძილზე ერთი ურემისთვის 5 დღე.

აქედან თითოეულს მიეცემა განსაზღვრული გასაკეთებელი სამუშაო, რომელიც გამოიხატება საჟენებათ, ფუთებათ და ერთეულებათ დამზადებისა და გადატანისა. თუ ნარდი სამუშაო შესრულებულ იქმნა იმ ვადაზე ნაკლებ, რაც ნორმით დაწესებულია, გადამხდელი თავისუფალია და ვადა შესრულებულად ითვლება. ეს მოგვცემს შრომის დიდ ნაყოფიერებას, რომელიც ძალიან მცირე იყო ბეგარების ჩატარების დროს.

პირველ ყოვლისა გადასახადის ნორმაში უნდა შევიდეს სახელმწიფო მნიშვნელობის სამუშაონი, როგორც მაგალითად სათბობი მასალის დამზადება, სურსათის გადაზიდვა, სარწყავ არხების გაყვანა და შესწორება, რკინის გზების და გზა-ტკეცილების შეკეთება და სხვა. მაგრამ ზემომოყვანილი სამუშაონი მთლიანად შრომის გადასახადით ვერ ჩატარდებიან, ვინაიდან მათ მოუნდება არა 20 დღის ნორმა, არამედ 40 და კიდევ მეტის. ამისათვის ნაწილი ამ სამუშაოსი უნდა ჩატარდეს თავისუფალი დაქირავებით. რაც შეეხება უბედურ შემთხვევებს (წალეკვა თოვლის ნამქერი, ცეცხლი და სხ. ეს გადასახადში არ შევა და ჩატარდება ბეგარის წესით.

შრომის და ტვირთზიდვის ბეგარის მაგივრად გადასახადის შემოღების საკითხის გადაჭრა არ მოითხოვს დაყოვნებას. ის თვით ცხოვრების მიერ არის წამოშობილი. მისი შემოღებით ბოლო მოეღება იმ უწესრიგობას, რომელიც ახლა ხდება პროვინციაში, რაც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და იწვევს უკმაყოფილებას სოფლებში.

წინადაწინვე განსაზღვრული და ყოველ შრომის უნარიან მცხოვრებლებზე თანასწორად განაწილებული შრომის გადასახადი, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს სასარგებლოდ რამოდენიმე სამუშაო დღეების გადადებაში, ძლიერ შეამსუბუქებს მის შესრულებას და გაცილებით მეტ ნაყოფს მოიტანს, ვიდრე განუსაზღვრელი ბეგარა.

ს. გოდაბრელიძე.

თეთრგვარდიელთა პრესა

ლიბერალური კონტრ-რევოლიუცია დიდ იმედებს ამყარებდა საზოგადოთ ყველა ზომიერ სოციალისტებზე, რომლებიც უფრო ადვილათ მოახერხებდნენ, თეთრგვარდიელების აზრით, ხალხის მოტყუებას „სოციალისტური“ ფრაზეოლოგიით, დაასუსტებდნენ საბჭოებს და ამნაირათ ნიადაგს მოუმზადებდნენ რესტავრაციას. რესტავრატორები საკადრისათ გაუსწორდებოდნენ მაშინ როგორც ბალშევიკებს, ისე ამ ზომიერ სოციალისტებს, რომელთა ზურგზე ისინი მიუჩოჩდებოდნენ სახელმწიფო ძალა-უფლებას. ამნაირათ „მავრს“ გააკეთებინებდნენ თავის საქმეს და შემდეგ ბალშევიკებსავე მიაყოლებდნენ უკან. ასეთი იყო იმედი თეთრგვარდიელების. მაგრამ როგორც ეტყობა დღეს ეს იმედიც ქარწყლდება მათში. პეტრე სტრუვის ჟურნალში „Русская Мысл“ ვინმე ლ. ოპარტოვსკი სწერს „ბალშევიკებისა და სხვა სოციალისტების“ შესახებ სხვათა შორის შემდეგს:

„რუსეთის ამბების მსვლელობის თეორეტიულათ გასათვალისწინებლათ... საჭიროა პირველ ყოვლისა დავაყენოთ საკითხი: რუსულ იდეიურ სფეროში არიან თუ არა ბალშევიზმის მიმართ რევოლიუციონურათ განწყობილი და საკმაო ამაფეთქებელი ძალით აღჭურვილი ეთიკურ-პოლიტიკური ელემენტები? რუსეთში რევოლიუციის მოხდენის იმედებს უკავშირებენ ეგრედწოდებულ „ზომიერ“ სოციალისტებს. კიდევაც რომ დაუშვათ, რომ ასეთები მოიძებნებიან რუსეთში, საჭიროა მაინც გავსინჯოთ მათი რევოლიუციონური ბრძოლის უნარი... ჩვენი სოციალისტები არ არიან გამოსადეგი არა მარტო ევოლიუციონური პოლიტიკისთვის მომავალში არამედ რევოლიუციონურისათვისაც აწმყოში... თავისი რევოლიუციონური როლის შესახებ სოციალისტებმა უნდა დაივიწყონ დიდი ხნით სანამ მათ საქმე არ ექნებათ ისევ „ბურჟუაზიულ“ მოწინააღმდეგესთან“.

ავტორი დაასკვნის: „ნამდვილი იდეიური მოძრაობა კიდევ არ დაწყებულა. ვინ მოექცევა სათავეში ამ მოძრაობას? ვინ იტყვის სიტყვას, რომელიც შესაფერისი იქნება საბჭოთა მთავრობის მიერ შექმნილი რევოლიუციონური ნილილიზმისათვის. That is the question... დღეს კი ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ სრული უიმედობა იმის შესახებ, რომ შეიძლებოდეს სოციალისტური რევოლიუციის ლიკვიდაციისათვის გამოყენებულ იქნენ სოციალისტური იდეები“.

ცხადია, რომ ვერც ესერებმა და მენშევიკებმა გაამართლეს თეთრგვარდიელების იმედები. ისინი ვერ აღმოჩნდნენ საკმაოთ თანდათანი, შეუდრეკელი მოწინააღმდეგენი საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის. ეს გარემოება ცხადია ჩააგდებს „სრულ უიმედობაში“ თეთრგვარდიელებს, რომლებიც სხვა ხალხისა და სხვა იდეების მატარებელთა ძებნაში არიან, რომლებიც უკეთესათ შეასრულებენ ამ საქმეს. ვინ არიან ასეთები? ამაზე წარსულის მიერ ჰკუანასწავლი და გამოცდილი ავტორი გარკვეულ პასუხს ვერ იძლევა, ვერც მისცემს...

⁂

„გაყიდული სული თუ რევოლიუციის მასხარა“—ასეთი ეპიტეტებით უმასპინძლდება ბურცევის გაზეთი „Общее дѣло“ თავად ლვოვს, რომელიც „განდგომილ“ ლიბერალებთან ერთად ჰქადაგებს დღეს „შეთანხმებლობას“ საბჭოთა ხელისუფლებისადმი. გაზეთი სწერს: „ვლ. ლვოვი, ყოფილი ოქტომბრისტი, ნაციონალისტი, ანარქო-ოქტომბრისტი, კონტრ-რევოლიუციონერი, კვლავ აცხადებს ახლაც, გაზეთ „ლერნუველ“-ში, თავის თავს საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთ. მისი სიტყვიდან ისე გამოდის, თითქოს ის ყოველთვის იყო სოციალისტი. რაც შეეხება კორნილოვის საქმეს მას ჰქონდა ერთი მიზანი: ხელი შეეშალა კორნილოვის გადატრიალებისთვის. გვიან იჩენს გამბედაობას ეპისკოპოს ევლოგის თანამებრძოლი! დღეს ჩვენ გავიგეთ ამნაირათ, რომ მან უღალატა კორნილოვს. ასე ჩავწეროთ“.

ბურცევს თანდათან ეცლება „თანამებრძოლები“ და მის ირგვლივ ვრცელდება სიცარიელე. ეს აყენებს ცუდ გუნებაზე მას და სასოწარკვეთილების ბეჭედს ასვამს ყოველ მის გამოსვლას გაზეთში, ყოველ მის მოქმედებას.

საზღვარ-გარეთ გარდახვეწილი ემიგრაცია, რომელიც თანდათან კარგავს იმედს რუსეთის ამბების თავის სასარგებლოთ შემოტრიალებაზე, მოცულია დღეს საერთო უიმედობითა და პოლიტიკური დემორალიზაციით. ემიგრაცია ოდესღაც რამოდენიმეთ ერთფეროვანი და მთლიანი, რამდენადაც საკითხი შეეხებოდა ბოლშევიკებს, დღეს დაისერა, დაინგრა და სხვა და სხვა გზით იწყებს სიარულს. საკმაოთ სერიოზულმა ნაწილმა პირი იბრუნა რუსეთისაკენ და ბრუნდება შინ. ეს პროცესი რაც დრო მიდის უფრო ფართოვდება და განადგურებელი ხდება კონტრევოლიუციონური ემიგრაციისათვის უცხოეთში. ამას გამოხატავს თეთრ-გვარდიელთა მთელი პრესა იქ. დიდი ხმაურობისა და კამპანიების შემდეგ გამოარკვა მათთვისაც რომ „ზღვას ცეცხლი ვერ წაუკიდეს“, რომ ისინი ისევ „გატეხილი გობის“ შემცქერი სხედან „ბაბილონის მდინარეების ნაპირებზე“...

სამხედრო უწყების ადმინისტრაციისთვის

საბჭოთა რეჟიმის სამხედრო სიძლიერე—ერთი უდიდეს ამოცანათაგანია, მისი მიღწევა ერთ უმთავრეს საზრუნავ საგნათ არის მიჩნეული. ჩვენი მიზანია მძლავრი წითელი არმიის შექმნა, რომელიც თავის დიდი დანიშნულების სიმაღლეზე იდგომება, როგორც თავის მასიურ შემადგენლობის, ისე ხელმძღვანელი კადრების ნაწილში. ამ უკანასკნელების შექმნის მიზნით უკვე არსებობენ სათანადო კურსები. დღეს ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი სამხედრო კომისარიატის ბრძანების თანახმათ ამ კურსებთან არსდება განყოფილება ადმინისტრატიულ სამეურნეო სამსახურისათვის მოსამზადებლათ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე თუ რა მნიშვნელობას იძენს, სამხედრო საქმის დაყენების საერთო გეგმაში, ასეთი განყოფილების დაარსება, და მომზადება საჭირო მოხელეების და ხელმძღვანელების რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან სამხედრო უწყების ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილს. ეს გადაწყვეტილება ერთი იმ ზომათაგანია, რომელმაც უნდა შექმნან ჩვენი სამხედრო ძალა, განამტკიცოს აპარატი, რომელიც მას ემსახურება და ამნაირათ ხელი შეუწყოს რესპუბლიკის გაძლიერებას და განვითარებას. ეჭვს გარეშეა ჩვენში მოიძებნებიან ისეთი პირები, რომლებიც სიამოვნებით მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს, ზოგი სათანადო გამოცდილებას გავლილნი, ზოგიც იმიტომ, რომ მათ შრომის უნარს შეეფერება სწორეთ ეს დარგი მუშაობის. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი სამხედრო უწყების ბრძანება სათანადო გამოხმაურებას იპოვის და თავის მიზანს მიაღწევს იმ საერთო ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც განძრახული აქვს მას გასატარებლათ ჩვენი სამხედრო საქმის მოსაწესრიგებლათ და მის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლათ.

წითელ რესპუბლიკებში

სომხეთი

ერევნის საბჭოს გახსნა.

პირველ იანვარს საღამოს 5 საათზე ზეიმით გაიხსნა ერევნის მუშებისა და გლეხების დეპუტატების საბჭო. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმათ აარჩიეს ამხ. აზატიანი, საპატიო თავმჯდომარეთ ამხ. ლენინი, ტროცკი და ზინოვიევი. მისასალმებელი დეპეშების წაკითხვის შემდეგ დაადგინეს გაუგზავნონ დეპეშები: მესამე კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს, საბჭოების მე-9 ყრილობას, თბილისის და ბაქოს საბჭოებს და აგრეთვე მიმართონ მოწოდებით საერთაშორისო მუშებისა და გლეხების მასებს. მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობას და ფედერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლუკაშინმა; მის წინადადებით იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც ფედერაციის საკითხს სცნობს მომწიფებულად. ბოლოს აირჩიეს სამანდატო კომისია 3 კაცისაგან. ამ კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ შესდგება საბჭოს მეორე სხდომა.

ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა ალექსანდროპოლში.

27 დეკემბერს ალექსანდროპოლში შესდგა მუშებისა, გლეხების და წითელ-არმიელების დეპუტატების საზეიმო სხდომა. დაესწრო 193 დეპუტატი. საზეიმო სხდომაზე მოვიდნენ ერევნიდან ამხ. ავისი და ერზინკიანი. ამხანაგ ავისის მოხსენების შემდეგ სომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

დღეს თბილისში იხსნება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების და სპარსეთის კონფერენცია.

ინდოეთში ინგლისის საწინაამდეგო მოძრაობა და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის თანდათან იზრდება და მწვავე ხასიათს ღებულობს.

ირლანდიაში მძვინვარებს სამოქალაქო ომი.

უმუშევართა რიცხვი ამერიკაში აღწევს 6 მილიონამდე.

პორტუგალიაში ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა.

თეთრი ტერორი და კომუნისტების დევნა ლატვიაში.

ხუთის შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „ქალაქის საბჭო ესალმება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას, რომელიც წარმოადგენს ამიერ-კავკასიის მუშურ-გლეხურ რევოლიუციის ძალების დაუშრეტელ წყაროს და ხელს შეუწყობს ძლევამოსილ გამარჯვებას პოლიტიკურ, ეკონომიურ, ფინანსიურ და სხვა ფრონტებზე. საბჭო დარწმუნებულია, რომ თანახმად საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ნებისყოფის გამოხატულების თანახმად სამივე რესპუბლიკა ახლო მომავალში ცხოვრებაში განახორციელებს ფედერაციას:

არჩევნები ლორის მაზრაში.

ლორის მაზრაში არჩევნები წარმატებით დასრულდა. სოფლებში არჩევნებში მონაწილეობას იღებდენ ქალებიც. პირველ იანვარს მოიწვიეს მაზრის საბჭოების პირველი ყრილობა.

ახალი ტარიფები.

პროფ-საბჭოს სატარიფო განყოფილების მიერ გამომუშავებულია და წარედგინა სახალხო კომისართა საბჭოს ეკონომიურ თათბირს შრომის ქირის ახალი სატარიფო განაკვეთები. მთავრობის დაწესებულებები დაყოფილა 8 კატეგორიათ.

რუსეთი

მოსკოვი, 5 იან. რადიო. ოდესის რაიონში აღმოჩენილია ტორფის მადანი, რომელიც აღწევს 100 მილიონ ფუთს.

ნავთი.

მოსკოვი, 5 იან. რადიო. ნოვოროსიისკში ბლომად მოდის ნავთი და კეროსინი გროზნოდან. ამ პროდუქტებს ეზიდებიან რკინის გზით ნორმალურად და შეუწყვეტლად.

საგარეო ვაჭრობისათვის.

მოსკოვი, 5 იან. რადიო. ჩრდილო-დასავლეთის გადამცვლელი ბიუროს დადგენილებით პეტროგრადის რაისპირტის საწყობებში არსებული ყურძნის ღვინო გადაქცეულია საქონლის გადასაცვლელ ფონდად საზღვარ გარედ იმ საგნების შესაძენად, რომლებიც აუცილებელია პეტროგრადის მრეწველობის მოსამარაგებლად.

ნაყოფიერების ზრდა.

მოსკოვი, 5 იანვარი (რადიო) ქარხანა „მექანიკაზე“ ტიუმენში თუჯის ჩამოსხმა აყვანილია 2000 ფუთამდე თვეში, მაშინ როცა წინედ უშვებდნენ 100—500 ფუთამდე. ნედლეულით ქარხანა უზრუნველყოფილია 5 თვით.

ბირჟები.

მოსკოვი, 5 იანვარი (რადიო) ცენტრო-კავშირის სამხრეთ აღმოსავლეთის განყოფილებასთან როსტოვში იხსნება საოლქო კოოპერატიული საქონლის ბირჟა. საწევრო შესატანი დაწესებულია 2 ნახევ. მილ. მან.

— ჩრდილოეთ-სავაჭრო პალატასთან პეტროგრადში ეწყობა საქონლის ბირჟა,

ტორფიან ჭაობების ექსპლოატაცია.

მოსკოვი. 5 იანვარი. (რადიო) ვიტევსკი გუბ. ტერიტორიაზე ექსპლოატაციას უშვებიან 6 ტორფიან ჭაობს, რომელნიც მდებარეობენ მსხვილ ქარხნების მახლობლად. ჭაობების საერთო სივრცე უდრის გუბერნიის სივრცის 11 პროცენტს. ექსპლოატაცია აყვანილია ომის წინანდელ ნორმამდე. ტორფის ამოღება ყოველ წლობით მატულობს. 1920 წ. ამოღებულია ტორფი 224.000 ფ., 1921 წ. განზრახული იყო ამოსაღებად 1.418,000 ფუთი. ტორფიან ჭაობებზე გამართულია ახალი მანქანები, აგებულია ახალი შენობები.

ბრძოლა მომავალი მოსავლისათვის.

მოსკოვი. 5 იანვარი, რადიო) კავკაში წარმოებს ენერგიული სამზადისი საგაზაფხულო თესვისათვის. ხდება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება, ეწყობა სპეციალურ კურსების ქსელი გვალვასთან საბრძოლველად. მთელ რიგ სოფლებში მოწყობილია მოძრავი კურსები, წარმოებს თესლეულის გაძლიერებული დამზადება. შექმნილია შეუძლო გლეხობისათვის თესლით დამხმარე ფონდი.

ზრუნვა სკოლებზე.

მოსკოვი, 5 იანვარი (რადიო). თამბაქოს ქარხანამ კურსკში იკისრა ერთი სკოლის შენახვა.

— პიატოვსკის საბჭოთა ყრილობამ (ვოლოგდის გუბ.) თემის ყველა სკოლის შენახვა.

— გომელის მაზრაში 20 სათემო ყრილობამ მიიღო თვით დაბეგვრა სკოლების სასარგებლოდ.

— რეჩიცაში სავაჭრო პატენტების გაცემის დროს ახდევინებენ გადასახადს სკოლების შესანახად.

— რკინისგზელთა პროფკავშირმა იკისრა მასწავლებელთა შენახვა, რომელნიც მოხსნილ იქნენ სარკინისგზო მომარაგებიდან.

ელექტროფიკაცია სოფლად

მოსკოვი. 5 იანვარი. (რადიო). ვოლოგდის გუბერნიაში ბოლო ხანებში კოოპერაცია იღებს ენერგიულ მონაწილეობას სოფლის ელექტროფიკაციაში. ედკოვის მოხმარებელ საზოგადოების თაოსნობით მოეწყო სადგური წისქვილთან, განათებულია მთელი სოფელი. სადგურ გუჩკოვსთან მოეწყო სადგური, რომელიც ანათებს 14 სოფელს.

მკვლევარ მიტისონის გარდაცვალება.

მოსკოვი. 5 იანვარი. (რადიო). ირკუტსკში სახადისაგან გარდაიცვალა პოლიარულ ქვეყნების მკვლევარი ფ. ა. მატისენი. მიცვალებულის უკანასკნელი ექსპედიციის წყალობით, აღმოსავლეთ ციმბირმა მიიღო საქონელი საზღვაო გზით: მატისენი მონაწილეობდა 5 ექსპედიციაში, იყო გეოგრაფიულ საზოგადოების და სამეცნიერო აკადემიის წევრი, მეშაობდა ჩრდილოეთის საზღვაო გზის ორგანიზაციისთვის.

სახელმწიფო ბანკის მოქმედება.

მოსკოვი, 5 იანვარი (რადიო). 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე სახელმწიფო ბანკმა გახსნა 141 ახალი მიმდინარე ანგარიში, რომლებით შემოვიდა 619 970 000.000 მან. ახლად გახსნილ ანგარიშებიდან სახელმწიფო დაწესებულებებზე მოდის 59, კოოპერატივებზე—19, კერძო პირებსა და დაწესებულებებზე 63. მიმდინარე ანგარიშებს ეტყობათ გადიდების ტენდენცია. შეტანა და ჩაწერა მიღებულია 649—620 050 000 000 მანეთისა. 15 დეკემბრამდე გახსნა კრედიტი სამ სახელმწიფო წარმოებებს 130 მილიარდის საერთო ჯამით. საანგარიშო დროის განმავლობაში ამ კრედიტით გაცემულია მხოლოდ 8 მილიარდი საანგარიშო პერიოდში კოოპერატივებიდან შემოვიდა 94 შუამდგომლობა კრედიტის გახსნის შესახებ. სულ დაკმაყოფილებულია 39 შუამდგომლობა 583,930,000,000 მანეთი.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი, 5 იანვარი (რადიო). დონის რევტრიბუნალმა დახვრეტა გადაუწყვიტა ნოვოჩერკასკის დამამზადებელ კანტორის გამგეს კოშკინს, კონტროლიორებს კალინინს, კორჩევსკის, ყასაბს ზილჩენკოს, რომელთაც ბრალდებოდათ სახელმწიფო მარაგიდან ფქვილის და ხორბლის მასიური ქურდობა. ოთხ ბრალდებულს მიესაჯა იძულებითი სამუშაო სხვა და სხვა ვადით.

— რკინის გზის ტრიბუნალმა დონის როსტოვში რკ. გზის 8 მოსამსახურეს მიუსაჯა დახვრეტა სურსათის და სხვა საქონლის ქურდობისათვის ვაგონებიდან. ხუთს მიესაჯა იძულებითი სამუშაო.

სიტყვა ჭეშმარიტ საქართველოსაგან

ჩვენ მივიღეთ მოსკოვიდან „საბჭოთა მე 9 ყრილობის ბიულეტენები“-ს რამოდენიმე ნომერი. ერთ ამ ნომერში ჩვენ ვნახულობთ შემდეგ ცნობას საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის ამხ. მდივანის გამოსვლის შესახებ საბჭოთა ყრილობაზე:

„სიტყვა ეძლევა საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს წარმომადგენელს, რომელიც პირველად იმყოფება ამ დარბაზში—აცხადებს ამხ. კალინინი.

წითელ კათედრასთან გამოჩნდება ქართველი მდივანის ბუმბერაზი ფიგურა. ნამდვილი კავკასიის ტიპი—მაგარი, სიპი ქვისაგან გამოკვეთილი სახით და ფართო ჟესტებით, რომლებიც თითქოს სწვდება მთელ დარბაზს.

მდივანს ისეთივე მაგარი და დამაჯერებელი ხმა აქვს, როგორიც მტკიცე გონების დამაუფლებელი სიტყვები. ის არ ლაპარაკობს, არამედ აქანდაკებს, ისე როგორც მოქანდაკე კვეთავს სახეებს მარმარილოზე. ის, აქ ამ ესტრადაზე რამოდენიმე წამში განიცდის ტერიტორიით პატარა, მაგრამ თავისი გმირული ბრძოლით დიდი სამშობლოს [illegible] მეებას.

„პირველი სიტყვა ჭეშმარიტ ქართველოსაგან—ამბობს მისი ბუმ რაზი წარმომადგენელი, ჭეშმარ ვამბობთ იმიტომ, რომ უკან რჩენილი საქართველო, საქ თველო, ჟორდანიას და შემთ ხმებლებისა, რომლებიც ლაქიები მუხლებზე ხოხავენ ანტანტის სახე მწიფოების წინაშე, არაა ჭეშმარი არაა ნამდვილი.

ჭეშმარიტი საქართველო აქ, ცეცხლით და წითელი მატერ გაბრწყინვალებულ დარბაზში, ამ ნად გადაქცეულ და ბრძოლულად ლაპარაკე სიწყნარეში, თავის წარ მადგენელის პირით კვეთავს ამაყ დამარწმუნებელ სიტყვებს:

„თუ რუსეთის საბჭოთა რესპუბ კას დაემუქრება რამე საფრთხე, შურ გლეხური საქართველო ფე დადგება როგორც ერთი კაცი“.

შეიძლება დაუჯეროთ ჩვენი მო რესპუბლიკის წარმომადგენელს. შ ძლება დაუჯეროთ მას, რადგან მისმა სამშობლოს ჩვენთან ერთ იგრძნო დიდი განთავისუფლების მ ლი სიღრმე“.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ვაშინგტონის კონფერენცია

კონფერენციის მუშაობა მთავრდება.

ლონდონი, 3 იანვარი (რადიო). ვაშინგტონის კონფერენცია ათავებს თავის მუშაობას 14 იანვრისათვის. უკანასკნელ სხდომაზე შეეხებიან ახლო აღმოსავლეთის საკითხს, რომლის შესახებაც კონფერენციამ უნდა გამოსთქვას თავის გარკვეული აზრი.

სერბია-იტალიის კონფლიკტი.

ბორდო, 3 იანვარი (რადიო). „ტანი“-ი იუწყება: იტალიის მთავრობამ აცნობა სერბიის ხელისუფალთ სებენიკოში, რომ იმ ინცინდენტის შემდეგ, რომელსაც ადგილი ქონდა ამავე ნავთსადგურში, იგი მოითხოვს სამხრეთ-სლავიის სამხედრო ხელის უფლებისაგან: 1) ბოდიშის მოხდას, დამნაშავეთა დასჯას, 3) სამხედ სალამის მიცემას სამხრეთ-სლავი ჯარების მხრიდან იტალიის ჯარ და დროშის მიმართ. 4) სერბიის მთ ვრობა ვალდებულია განსაკუთრებ მთავრობის ცნობაში გამოაცხად თავის დამოკიდებულება ინციდენ თან. სებენიკოში მყოფ სერბი პრეფექტმა უპასუხა, რომ იგი და ყონებლივ აცნობებს სერბიის მთ რობას იტალიის მოთხოვნილებებს.

ახლო აღმოსავლეთში

კმარა გაუგებრობა.

პარიზი, 31 იანვარი (რადი „ტანი“, ეხება რა თავის წერილ ბრიანის განცხადებას, რომელიც მ გააკეთა სენატში საფრანგეთის პ

ომის შემდეგ*)

II

ქაღალდის ფულის ნიშნების გამრავლების შედეგი იყო ფულის ღირებულების შემცირება. ფულის ნიშანმა დაკარგა მნიშვნელობა შუამავალის საქონლის ტრიალში. დაკარგა ღირებულება; ნამდვილი ღირებულების, საქონლის, გამომხატველი ვეღარ შეიქმნა ფულის ნიშანი. ფულის ნიშნების გამრავლებას თან დაყვა ფულის ტრიალის დაშლა, მართალია, ვერ დაუპირდაპირებთ ქაღალდის ფულის ნიშნების რაოდენობის გამრავლებას და ფულის ღირებულების შემცირებას; ამ ორ მოვლენათა შორის პირდაპირ დამოკიდებულების გამოხატვა ძნელია, მაგრამ ფულის ნიშნების გამრავლება თანდათან სცემდა ფულის ღირებულებას. ქაღალდის ფულის ნიშნებსა და საქონლის შორის ურთიერთობა დაირღვა, ქაღალდის ფულის ნიშნების რაოდენობა გაცილებით უფრო დიდის სისწრაფით იზრდებოდა ომიანობის დროს, ვიდრე საქონლის რაოდენობა. აურებელი ქაღალდის ფულის ქვეშ აღარ შეიქმნა ჭეშმარიტი ღირებულებანი—საქონელი.

ინგლისის სტერლინგი ევროპის ბირჟაზე ღირდა:

	ომიანობამდე	ომის დროს	1919 წ.	1921 წ.
ნიუ-იორკი	4,86	4,52—5,06	3,67—4,76	3,02—4,02
პარიზი	25,22	24,97—28,98	25,96—45,40	40,77—67,47
ბერლინი	20,43	—	67,50—200	147—353

ამ ცნობებს თუ ჩაუკვირდებით დავინახავთ შემდეგს: ომიანობამდე ნიუ-იორკში ერთი სტერლინგი ღირდა 4 დოლარი 86 ცენტი, ომის დროს სტერლინგის ფასი ავიდა 5 დოლ., მაშასადამე დოლარი გაძვირდა, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ იმავე ნიუ-იორკის ბირჟაზე სტერლინგი ფასობს 3,67—4,76 დოლარამდე, მიმდინარე 1921 წლის პირველ თვეებში სტერლინგის ფასი 3,87—400 დოლარამდე ავიდა. მაშასადამე სტერლინგი დოლარებთან შედარებით გაიაფდა, სტერლინგის ღირებულება დაეცა. სტერლინგის ფასი ამერიკაში ნაკლები შეიქნა, ვიდრე ის ღირდა ომიანობამდე. დოლარის ღირებულება სტერლინგთან შედარებით შეადგენს პირველ იანვარს 1920 წელს—27,21 პროც; პირველ იანვარს 1921 წელს—1738 პროც. დოლარის ღირებულება გაიზარდა, მიმდინარე წლის დასაწყისში სტერლინგის ღირებულება გამოსწორდა, მაგრამ ვერ გაუთანასწორდა სტერლინგს.

საფრანგეთის ფრანკებზე სტერლინგი ღირს და ომიანობამდე 25,25 ფრანკი, ომის შემდეგ, სტერლინგი ღირდა პარიზში 45,40 ფრანკი, 1921 წელს სტერლინგის ღირებულება ავიდა 67,47 ფრანკამდე, მიმდინარე წლის მაისში სტერლინგი ღირდა პარიზში 46,47 ფრანკი, მაშასადამე ფრანკი გაიაფდა სტერლინგთან შედარებით პროცენტებში. ფრანკის გაიაფება სტერლინგთან შედარებით პირველ იანვარს 1920 წელს შეადგენს 136,13 პროც.; პირველ იანვარს 1921 წელს ფრანკის ღირებულება ანუ კურსი გამოკეთდა და შეადგენს 83,24 პროც. ფრანკის ღირებულება ანუ კურსი მაინც დატოვებული არის იმ ღირებულებისაგან, რომელიც მას ქონდა ომიანობამდე.

ძლიერ საყურადღებოა გერმანიის მარკის მდგომარეობა: ინგლისის სტერლინგი ომიანობამდე ღირდა 20,43 მარკა; ომის დროს 28,98 მარკა; 1919 წ.—სტერლინგი ღირს 6750—200 მარკამდე, 1921 წლის დასაწყისში სტერლინგის ღირებულება შეადგენს 353 მარკას; მიმდინარე 1921 წლის მაისში მარკის ფასი ოდნავ გამოკეთდა და შეადგენდა 234 მარკას. პროცენტებში მარკის ღირებულების შემცირება სტერლინგთან შედარებით შეადგენს პირველ იანვარს 1920 წელს—1157,95 პროც., 1921 წელს პირველ იანვარს 1045,38 პროცენტი.

გაუწიოთ ანგარიში ამ ცნობებს, ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფოების ფულების შორის დაირღვა. ამერიკის დოლარი სხვა სახელმწიფოების ფულებთან შედარებით უფრო ძლიერი შეიქნა, მან თავის ღირებულების მცირე ნაწილი დაკარგა. ძლიერ დაზიანდა საფრანგეთის ფრანკი და კიდევ უფრო გერმანიის მარკა, კიდევ უფრო დაეცა ავსტრიის კრონა, რომლის ღირებულების შემცირება სტერლინგთან შედარებით შეადგენს 1921 წლის პირველ იანვარს 6090 პროც.

ასეთი მდგომარეობა აიხსნება უმთავრესად შემდეგით: ამერიკა ომიანობაში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა, ამერიკა დაგვიანებით ჩაება საერთაშორისო ელეტაში. ამერიკამ ისარგებლა მდგომარეობით. როდესაც ევროპაში სისხლის მორევში იხრჩობოდენ დიდი სახელმწიფოები, ანადგურებდენ ეროვნულ სიმდიდრეს, ამერიკა აჩქარებით მუშაობდა, გააძლიერა წარმოება, ვინაიდან ის შეიქმნა უდიდესი მიმწოდებელი სხვა და სხვა საქონლის და სურსათ სანოვაგის ანტანტის სახელმწიფოებისათვის. მართალია, ამერიკაშიც გამრავლდა ქაღალდის ფულის ნიშნები, მაგრამ საქონლის წარმოება ისე არ დანგრეულა და არ შეჩერებულა, როგორც ევროპაში. ამერიკაში ფულის ნიშნები სძლებდენ შუამავლობას საქონლის ტრიალში. ამერიკაში ქაღალდის ფულის ქვეშ მოექცა საქონელი. ამერიკა დიდ ვაჭრობას აწარმოებდა ევროპასთან; საქონლის საფასურათ იღებდა ევროპისაგან ოქროს. ოქროს რაოდენობა ამერიკაში 4.1 ჯერ გაიზარდა. გარდა ამისა ამერიკის წინაშე დავალიანებულნი შეიქმნენ ევროპის სახელმწიფოები სულ სხვა მდგომარეობა შეიქნა საფრანგეთის და განსაკუთრებით გერმანია და ავსტრიისათვის. საფრანგეთი პირდაპირ ჩაბმული ომიანობაში ვერ ქმნიდა საკმაო რაოდენობას საქონლისას, იგი დავალიანდა. გერმანია კიდევ უფრო ცუდ პირობებში იყო, რადგან ალყა შემოკრული ოთხი წლის განმავლობაში წინაამდეგობას უწევდა ევროპის უდიდეს სახელმწიფოებს. გერმანიას ომის შემდგომ დამოეცალა სიმდიდრე და დარჩა დიდი მორევი ქაღალდის ფულების. ომის შემდეგ ისეთი საშინელი ვალდებულებანი დაადეს გერმანიას, რომ იგი გაკოტრების გზაზედ შესდგა. ამერიკის დოლარი გერმანიაში ფასობდა 1921 წ. ნოემბერში 300 მარკა. ფულის ღირებულება ანუ კურსი ომის ზეგავლენით ყველგან შეირყა. ფულმა დაკარგა ღირებულება. მხოლოდ გამოირკვა ძლიერ საყურადღებო მოვლენა: სახელმწიფო, რომელმაც შესძლო ომის დროს წარმოება, რომელსაც ჰქონდა ძლიერი ეკონომიური ნიადაგი, გაუძლო გაჭირვებას, ასეთი სახელმწიფოების ფულის ღირებულება იმდენათ არ დაეცა, ვიდრე სახელმწიფოების, რომლებიც უფრო მეტის სისწრაფით ბეჭდავდენ ფერად-ფერად ქაღალდის ფულის ნიშნებს და გაცილებით უფრო ნაკლებ რაოდენობას საქონლისას ამზადებდენ.

ევროპის ფულის ბაზრებზედ ორი ძლიერი მეტოქე დარჩა: ინგლისი და ამერიკა ინგლისის სტერლინგი და ამერიკის დოლარი ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ. მეტოქეობა ამ ორ სახელმწიფოთა შორის გამწვავდა და გაღრმავდა.

რა შედეგი მოყვა ფულის ღირებულების დაცემას, ოქროს ფული გაქრა, ოქროს ფული გადიქცა საქონლათ, რომლითაც ვაჭრობენ. ფულის ღირებულების დაცემამ და რყევამ ყირამალა დააყენა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გასწორება. ამას მოყვა საშინელი სპეკულიაცია. ვაჭრობის წარმოება იმ სახელმწიფოებთან, რომლების ფულის ღირებულება უფრო მტკიცე იყო, ანუ რომლების ფულები უფრო ძვირი იყო შეუძლებელი შეიქმნა. მოვაჭრე სახელმწიფოსათვის დაცემული ფულის ღირებულებით ვაჭრობა შეუძლებელი შეიქნა. ასეთი მდგომარეობა ძლიერ მძიმე იყო იმ სახელმწიფოს ვაჭრობისათვის, რომელსაც მაღალი ღირებულების ფულის ნიშნები ჰქონდა.

ამერიკაში, ინგლისში, შვეიცარიაში, სადაც ფულის ნიშნები ძვირი შეიქნა, საგარეო ვაჭრობა ძლიერ გაძნელდა. ასეთი სახელმწიფოები, მაგალითად შვეიცარია, შეეცადნენ ფულის კურსის დაცემას, რათა გაეადვილებიათ ვაჭრობა. ფულის ღირებულების დაქვეითების შედეგი ძლიერ უცნაური შეიქმნა სახელმწიფოებისათვის, რომლების ფული ძვირი იყო, რადგან აუტანელი შეიქნა მათთან სავაჭრო ურთიერთობის წარმოება. სახელმწიფოები, რომლების ფულის ღირებულება შემცირდა, ისინი კიდევ უფრო დიდ გასაჭირში ჩავარდნენ, რადგამ მათი ფულის ღირებულება განიავდა და ფული აღარაფერს არ ნიშნავდა. აი უდიდესი უბედურება, რომელიც შექმნა ომიანობამ.

1921 წ. განმავლობაში ევროპის სახელმწიფოების ფულის ნიშნების ღირებულება ოდნავ გამოკეთდა. დოლარი, რომელიც ბატონობდა ევროპის ბურჟუებზედ, შეირყა. 1921 წ. ნახევარში დოლარის ღირებულება წლის დასაწყისთან შედარებით 13,23 პროც. შემცირდა, გაძლიერდა ფრანკი, მისი ღირებულება გაიზარდა 21,39 პროც. გაიზარდა გერმანიის მარკის ღირებულება 8.95 პროც. ინგლისის სტერლინგის ღირებულებაც გასწორდა, მაგრამ მისი ღირებულების რყევა არ შეჩერებულა.

მართალია, ქაღალდის ფულის ღირებულება ოდნავ გასწორდა, მაგრამ აღდგენა იმ ურთიერთობის, რომელიც იყო სხვა და სხვა სახელმწიფოების ფულების ნიშნებს შორის ძლიერ შორს არის, ფულის ღირებულება ძლიერ შერყეულია.

ფულის ღირებულების შემცირებას თან დაყვა ცხოვრების გაძვირება.

ომიანობის შედეგი უპირველეს ყოვლისა დააწვა მოქალაქეს, მოქალაქეთა უმრავლესობას, მუშას ცხოვრების გაძვირება იმაში გამოიხატება, რომ საქონლის ღირებულების ანაზღაურებას სჭირდება მეტი რაოდენობა ნიშნების, ვიდრე ომიანობამდე იყო საჭირო. ცხოვრება გაძნელდა. საერთაშორისო ომიანობამ გაანიავა ეროვნული სიმდიდრე, ძლიერ შეამცირა წარმოება. მოთხოვნილება გაცილებით მეტია, ვიდრე მიწოდება, ამის შედეგი არის უდიდესი საზოგადოებრივი უბედურება—ცხოვრების გაძვირება.

საქონლის ფასების ცვლილება შემდეგი ცხრილით გამოიხატება:

წლები	საფრანგეთ.	ინგლისი	ჩრდილოეთ ამერიკის შტატები
1913	100	100	100
1914	102.0	100	96.7
1915	139.8	127.1	107
1916	187.6	160.0	128.4
1917	261.0	205.9	170.0
1918	339.2	225.9	203.2
1919	355.6	242.4	202.7
1920 იან.	486.9	288.0	326.6
1920 ივლ.	495.6	299.5	204.4
1920 დეკ.	434.	243.5	—

ეს არის ცნობები საერთოდ საქონლის გაძვირების. კერძოთ უმთავრესი საქონლის, განსაკუთრებით სურსათ-სანოვაგის გაძვირება საერთაშორისო ომიანობის შემდეგ უფრო დიდია. ხორბლეულობის და ხორცის გაძვირება ინგლისში 1901-05 წ. შედარებით 1920 წ. იანვარში შეადგენს 14.71 ერთეულს, სხვა სურსათი და სანოვაგე: შაქარი, ჩაი, ერბო გაძვირდა 1920 წ. დასაწყისში 857 ნახ. ერთეულით.

ინგლისში 1920 წ. დასაწყისამდე მთავარი საქონლის ფასები შეუჩერებლათ იზრდება. მარტში 1920 წ ცხოვრების გაძვირება უდრის 379.6 პროც.. მარტის შემდეგ ფასები მცირდება, ცხოვრების გაძვირება 1921 წ. იანვარში შეადგენს 255.3 პროც.

შვეციაში, სადაც ფულის ღირებულება, ძლიერ იმდენათ არ შემცირებულა როგორც საფრანგეთში, ან გერმანიაში, რადგან ის დიდ ვაჭრობას აწარმოებდა ალყა შემორტყმულ გერმანიასთან ცხოვრება თვალსაჩინოთ გაძვირდა. 1920 წ. მარტში და აპრილში ცხოვრების გაძვირება 354 ერთეულს შეადგენს. ზოგიერთი საქონელი ძლიერ გაძვირდა. ქვანახშირის ფასი 960 ერთეულიდან 1001 ერთეულამდე ავიდა.

გაძვირდა საერთაშორისო ბაზარზედ პურის ფასი. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1920 წლ. მარტში ერთი ბუშელი პური ღირდა 264 ცენტი, აპრილში—285 ცენტი, მაისში 314 ცენტი, 15 მაის—335 ცენტი.

ცხოვრება გაძვირდა მეტად საფრანგეთში, ვიდრე ინგლისში და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ინგლისში და ამერიკაში ცხოვრება სამჯერ გაძვირდა, საფრანგეთში ხუთჯერ.

გერმანიაში ცხოვრება გაცილებით უფრო გაძვირდა, ვიდრე ევროპის სხვა სახელმწიფოებში. 1913 წ თუ ვიანგარიშებთ და მივიღებთ იმ დროის ფასებს 100 ერთეულად, ბითუმათ გაყიდული საქონლის ფასი იქნება 1920 წ. ოქტომბერში ჩრდილოეთ-ამერიკაში—170, იაპონიაში 226, ინგლისში 292, გერმანიაში 1308.

ავსტრალიაში ცხოვრების გაძვირება 1920 წ. იანვარში არ აღემატება 60 პროც.

რას გამოხატავს განსხვავება ცხოვრების გაძვირებაში ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში? საერთაშორისო ომიანობის შემდეგ ცხოვრება ყველგან გაძვირდა, გაძვირების რაოდენობაში არის დიდი განსხვავება. არსად ევროპაში ცხოვრება ისე არ გაძვირებულა, როგორც გერმანიაში. ერთი სულის შენახვა გერმანიაში 1913-14 წ. ღირდა 102 მარკა, 192 წ. თებერვალში 637 მარკა, დეკ ბერში—945 მარკა. სურსათ-სანოვა გის ფასები 9,25 ჯერ გაიზარდ ბერლინში ცხოვრება გაძვირდა 1 ჯერ, განოვერში, ნიურენბერგში- 7 ნახ.-ჯერ. ძლიერ გაძვირდა ფ საჭმელი: ბერლინში—12 ჯერ, ნი რენბერგში-15—16 ჯერ. ინგლისში ცხოვრება. თუ ღირდა, მაგალითა 100 ერთეული 1914 წ. 1920 პირველ ნოემბერს 176 ერთეული.

რამდენათ ეკონომიურად სახელ წიფო ძლიერი იყო, რამდენათ ეკო ნომიურად ძლიერმა ნიადაგმა გამძლე ობა გამოიჩინა, იმდენათ ცხოვრების გაძვირება შედარებით ნაკლები იყო რამდენათ სახელმწიფომ საერთაშო რისო ნგრევისა და რყევის დრო შესძლო წარმოების გაძლოლა, რამ დენათ წარმოება იყო, იმდენათ ცხოვრების გაძვირება მცირე იყო მრეწველობის განვითარებას, ძლიე რების დიდი მნიშვნელობა ქონდა ცხოვრების გაძვირების შეჩერებაში ასეთი გამძლეობა და წინააღმდეგობა შესძლო ამერიკამ ინგლისმა.

გერმანია ეკონომიურად ძლიერი იყო, გერმანიის ინდუსტრია მაღალ საფეხურზედ იდგა, გერმანიამ ომიანობის დროს დიდი გამჭრიახობა და საქმიანობა გამოიჩინა, მაგრამ ის პირდაპირ იყო ჩაბმული ომიანობაში და მან ძლიერ დააზიანა გერმანია სახელმწიფო, რომელიც პირდაპირ მონაწილე იყო ომიანობის, სახელ წიფო, რომელმაც ომის ზედგავლე ნით გაანიავა დიდი ნაწილი თავისი ეროვნული სიმდიდრის, უფრო და ზიანდა, იქ ცხოვრება უფრო გაძვირ და სახელმწიფო, რომელიც დამ რებული იყო ომის ასპარეზისაგან, იქ ცხოვრება ნაკლებ გაძვირდა მაგალითად, იაპონიაში ამერიკაში.

ავსტრალიაში, კანადაში, არგენტინაში ცხოვრების გაძვირება არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ევროპის სახელმწიფოებში. დასახელებული სახელმწიფოები არიან მწარმოებლები ხორბლეულობის, ხორცის—სურსათ სანოვაგის, მოთხოვნილების მთავარი საგნების; ესენი არიან მწარმოებლები ნედლი მასალის, რომლის მოთხოვნილება ომიანობის დროს ძლიერ დიდი იყო. სახელმწიფოები მწარმოებლები სურსათ-სანოვაგის, ნედლი მასალის, რომლებიც არ იყვნენ მონაწილენი საერთაშორისო ომიანობის, აწარმოებდენ დიდ ვაჭრობას, გამდიდრდენ. მოთხოვნილების გაძლიერებამ გააძლიერა წარმოება სახელმწიფოები, სადაც უფრო ძლიერი იყო წარმოება—ინდუსტრია, უფრო დაიხრნენ, უფრო იგრძნეს ცხოვრების გაძვირება.

ცხოვრების გაძვირება არის საერთაშორისო უბედურება -შედეგი საერთაშორისო ომიანობის.

აღნიშნული მიზეზები ფულის ღირებულების დაცემის, ცხოვრების გაძვირების სავსებით ვერ გამოხატავს იმ ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც საერთაშორისო ომიანობამ შექმნა. უდიდესი შედეგი და უდიდესი მიზეზი ეკონომიური ურთიერთობის არევდარევის, საერთაშორისო ფორიაქების არის—წარმოების, ინდუსტრიის დანგრევა.

ს. ავალიანი

(გაგრძელება იქნება)

---

*, იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 250, 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკის შესახებ ახლო აღმოსავლეთში, ამასთანავე სწერს: კმარა გაუგებრობა. იმ დროს, როდესაც კანში უმაღლესი საბჭო იწყებს მუშაობას საჭიროა გადაწყდეს ყოველივე გაუგებრობა. უნდა გარკვევით დამყარდეს, რომ არ არის ისეთი საკითხი, რომელიც არ გამორკვეულიყოს სახალხო წარმომადგენლობის წინაშე ან და რომელიც ეწინაამდეგებოდა ხალხის ინტერესებს. ეხება რა შემდეგ ახლო-აღმოსავლეთის საკითხს და კერძოდ საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტებს, „ტანს“ მოყავს ამონაწერი ლონდონის გაზეთის „მანჩესტერ-გარდიანი“-დგან, რომელშიდაც აღნიშნავს, რომ ინგლისელებს კარგად ესმით ნამდვილი მდგომარეობა. ლონდონის გაზეთი სხვათა შორის სწერს: უნდა განვაცხადოთ, რომ სმირნის გარშემო ზონის შექმნა უმიზნოა, რადგანაც ამ რაიონში არ შეიძლება ისეთ უზნის ნახვა, რომელშიდაც სჭარბობდეს ბერძენთა მოსახლეობა. შემდეგ ანგარიში უნდა გაეწიოს ბერძნებსა და ოსმალებს შორის გაწვავებულ მდგომარეობას.

გერმანია

„ძმობა და მშვიდობიანობა“.

ნაუენი, 3 იანვარი (რადიო). ბერლინში დიდი ომის დამთავრების შემდეგ პირველად გაიმართა საახალწლო მიღება მთავრობის თავმჯდომარესთან. მიღებულ იქნა დიპლომატიურ კორპუსის წევრები, პაპის ნუნცი პაჩელი, რომელმაც კორპუსის უხუცესთა სახელით წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელშიდაც გამოსთქვა, რომ იმედოვნებს ხალხთა შორის მშვიდობიანი იდეალების მალე გამეფებაზე. პრეზიდენტ ებერტმა თავის პასუხში აღნიშნა, რომ მალე იქნება ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობიანობა.

ბორდო, 3 იანვარი (რადიო). პრეზიდენტ ებერტმა დიპლომატიურ კორპუსის წევრთა მიღების დროს განაცხადა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ პაპის ნუნცი პაჩელიმ წარმოსთქვა თავის სიტყვა ფრანგულ ენაზე. პაჩელი იძულებული იყო გადაეთარგმნა თავისი სიტყვა გერმანულ ენაზე.

ჰამბურგის მეგემეობის განვითარება.

ნიუენი, 4 იანვარი (რადიო). გამოაქვეყნეს ცნობები, რომლებიც ახასიათებენ ჰამბურგის მეგემეობის მოქმედების გაძლიერებას 1921 წ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ 1921 წ. გადაზიდული საქონლის რაოდენობამ ერთი ორათ გადააჭარბა 1920 წელს გადაზიდულ ტვირთის რაოდენობას და რომ იგი 6 ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1919 წ.

ანტანტა და გერმანია.

მიღებულ ცნობებით გერმანია მოითხოვს 5 წლის მორატორიუმს. ინგლისი თანხმდება სამი წლისაზე. ასეთი შეღავათის პირობებს წარმოადგენს გერმანიის ფინანსების მოწესრიგება და რკინისგზის დეფიციტის მოსპობა, რომელიც მილიარდებს უდრის. გაზეთი ბოლოს აღნიშნავს, რომ ლონდონის ხმებმა უკვე იქონიეს გავლენა გერმანულ მარკის საერთაშორისო ბაზარზე სწრაფად აწევაზე. გერმანული პრესა უფრთხილდება გაზვიადებულ ოპტიმიზმს რადგანაც ძნელი მოსალოდნელია, რომ ანტანტამ გულწრფელად აძლიოს საჩუქარი გერმანიას.

ამერიკა

უმუშევრობა ნიუიორკში

ნიუ-იორკი. 20 დეკემბერი. უმუშევრობის გამომრკვევი და მის შესამცირებლად ზომების მიმღები კომიტეტი ნიუიორკში თავის ანგარიშში სწერს: ნიუიორკში ამ ჟამად ჩაწერილია 345,000 უმუშევარნი, რაც შეადგენს ქალაქის მოსახლეობის 13 ნახ. პროც. ამაში არ შედის 30.000 უმუშევრები, რომლებიც არ არიან ნიუიორკის ნამდვილი მცხოვრები, ე. ი. რომლებიც ჩვეულებრივ შემოდგომაზე, მინდვრის სამუშევრის დათავების შემდეგ მიისწრაფიან სამუშევრად სხვა ქალაქებში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ აღნიშნული ციფრი წარმოადგენს მილიონს და იგი არ შეიცავს იმ პირთ, რომელთაც აქვთ დროებითი სამუშევარი.

ამერიკის სახელმწიფო შრომის დეპარტამენტი იტყობინება, რომ გაფიცვების შედეგად მუშებმა ამერიკაში 1921 წ. პირველ ნახევარში დაკარგეს 1,179,000.000 დოლარი სამუშაო ხელფასი. მოსალოდნელის, რომ წლის ბოლოში ეს ჯამი გაიზრდება 2 მილიარდ დოლარამდის. ამერიკაში გაფიცვების ძირითად მიზეზს წარმოადგენს მწარმოებელთა ორგანიზაციური შეტევა სამუშაო ხელფასის ფრონტზე, რომელიც იძულებულ ყოფს თავდაცვისათვის. ამას გარდა, შეერთებული შტატებში არის 6 მილიონამდე კაცი, რომლებიც დარჩნენ უმუშევრად არა გაფიცვის გამო.

ევროპის ვალები

პარიზი. 28 დეკემბ. (რადიო). „ტანი“ სწერს ძლიერ დიდ ინტერეს ლონდონის პოლიტიკურ და ფინანსიურ წრეებში იწვევს ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკას განზრახული აქვს დაემართოს მსოფლიო ვაჭრობას ევროპის ვალების მნიშვნელოვნად შემცირების გზით, განსაკუთრებით ინგლისისა იმ პირობით, რომ ინგლისმა შეუმციროს ვალები თავის მოვალეებს 50%. „ტანი“ აღნიშნავს, რომ ამის შესახებ მათ ოფიციალურად არავერი იციან, მაგრამ კარგად გაგებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისი დიდის თანაგრძნობით ეპყრობა ამერიკის პროექტს, შემდეგ „ტანს“ მოჰყავს ცნობა ლონდონის გაზეთ „ივნინგ სტანდარტ“-იდგან: „1922 წლის დასაწყისში შეიკრიბა ფინანსიურ ეკონომიური კონფერენცია, რომელიც იმუშავებს მხოლოდ საერთაშორისო ვალების საკითხის შესასწავლად. ამ კონფერენციაზე მიწვეულ იქნებიან გერმანია და რუსეთი.

პორტუგალია

აფეთქება ლისაბონში.

რომი 1 იანვარი (რადიო). ლისაბონში გადაისროლეს ორი ყუმბარა, რომელმაც დააზარალა რამდენიმე კაცი, აფეთქების მიზანი და მიზეზი გამოურკვეველია. დაიჭრა და მოკვდა რამოდენიმე კაცი.

იტალია

იტალიის ფულის ბაზარი.

რომი, 4 იანვარი (რადიო. დეპეშების ცნობით, იტალიის ვალიუტის მდგომარეობა 2 იანვარს იყო შემდეგი: ამ დღეს პარიზში 100 ფრანკი ღირდა 185,75 იტალიის ლირა. ლონდონში გირვანქა სტერლინგი 97 იტალიის ლირა, ნიუ იორკში 1 დოლარი 22,95 იტალიის ლირა, ბერლინში 100 მარკა 11,50 იტალიის ლირა და შვეიცარიაში 100 შვეიცარიის ფრანკი 452 იტ. ლირა.

საბირჟო საქმიანობის შეზღუდვა.

რომი, 1 იანვარი (რადიო). ბირჟის სპეკულიაციის გავრცელების გამო, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს იტალიის ლირის კურსზე ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება საბირჟო საქმიანობის შეზღუდვის შესახებ.

ამერიკა

კრიზისი ამერიკაში.

ნიუ-იორკი. 20 დეკ. ჟურნალ „ნიურებლიკი“ დაწვრილებით ეცნობა ამერიკის ეკონომიურ კრიზისის მიზეზებს. ყველა ზომები, რომლებსაც ღებულობს მთავრობა ამ კრიზისის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის, ჯერ უშედეგოა მახლობელ თვეებზე, ყოველ შემთხვევაში მარტამდი არ უნდა ვიმედოვნოთ ჩვეულებრივ დროსაც კი სანამ ოქტომბრიდან მარტამდის ყოველთვის იყო სიწყნარის ხანა. ამერიკის ეკონომიური კრიზისი შეიძლება გაგრძელდეს მთელი წლობით, ვინაიდან არ ემჩნევა შემსყიდველობის უნარის გაძლიერების სიმპტომები, არც თვით ამერიკაში, არც მის გარეშე, პირიქით, მდგომარეობა ამ მხრივ იმ ქვეყნებში, რომლებიც შეიძლება გახდენ შეერთებულ შტატების კლიენტებად, უარესდება.

ოფიციალურ ცნობების მიხედვით სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოების ნაყოფის ღირებულება ძლიერ დაეცა, სახელდობრ 47 პროც. ეს იმით აიხსნება, რომ ფერმერის მრავალრიცხოვან მოსახლეობის შემსყიდველობის უნარი შემცირდა თითქმის ნახევრად. რაც შეეხება პროვინციის პროლეტარიატის შემსყიდველობითი უნარს, რომელიც შევიწროებულია არ ყოფილ უმუშევრობით, მათ არ შეუძლია შეისყიდოს პირველ საჭიროების საგნები. მათთვის საკმაო რაოდენობით, დაკლებულ ფასებითაც კი. მეორე მხრივ, ფერმერების საჭირო საგნების ფასი არ დაეცა ისე, როგორც მათი ნამუშევარის. წერილის ავტორი პროფესორი კირინგი აღნიშნავს, ამასთან ერთად ემჩნევა საგრძნობლად სხვა და სხვა სამრეწველოების გაერთიანებათა გამრავლება. ასე, თვიური დივიდენტი აღმოსავლეთის მთავარ შტატებში გაიზარდა უკანასკნელ წლებში შემდეგნაირად: 1914 წ.—148 მილიონ დოლარით, 1916 წ.—117 მილ. დოლარ. 1918 წ.—252 მილ. დოლ, 1920 წ.—284 მილ. დოლ. 1921 წ. 289 მილ. დოლ პროფესორი კირინგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ შეერთებულ შტატების მუშათა მასსებს, ამ უმდიდრეს კაპიტალისტურ ქვეყნისას, მოუხდებათ განიცადონ არ ყოფილი მძიმე დროის კაპიტალისტურ რეჟიმის შედეგად.

ვაშინგტონის კონფერენცია.

ლონდონი. 20 დეკ. ინგლისის გაზეთების ცნობით, პრეზიდენტი გარდინგს იმ შემთხვევაში თუ ვაშინგტონის კონფერენციამ მიაღწია წარჩინებას, განზრახული აქვს გადასწყვიტოს მასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: 1) ის ქვეყნები, რომლებიც ამდენხანს არ ღებულობდენ მონაწილეობას კონფერენციაზე, უნდა მოწვეულ იქნან კონფერენციაზე დადებულ ხელშეკრულებათა დასადასტურებლად. ეს ეხება უმთავრესად გერმანიას. ამ მიზნისათვის შეიძლებოდა გაგრძელებულიყო კონფერენციის მუშაობა; 2) ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ უნდა დაინიშნოს პერიოდული კონფერენციები საერთაშორისო საკითხების გადასაწყვეტად.

ანტანტა და გერმანია

ბერლინი, 20 დეკ. „ნოვი მირ“-ი იტყობინება, რომ ლონდონის პრესის ცნობით გერმანიას წარუდგინეს მოთხოვნილება ქაღალდის ფულის გამოშვების სრულიად შეწყვეტის შესახებ, და აგრეთვე შემოსატან და გასატან ვაჭრობაზე მოკავშირეთა კონტროლისა. ეს კონტროლი უმთავრესად მდგომარეობს ინგლისის მრეწველობის ან მოკავშირეთა მრეწველობის გერმანიის მრეწველობაში მონაწილეობის მიღებაში, იმ რიგად, რომ ეს უკანასკნელი მისცემს იმ ვალის იპოტეკურ გარანტიას, რომელიც მისცეს უცხოეთის კაპიტალისტებმა. ამასთანავე ჯერ კიდევ გაურკვეველია, იქნება თუ არა განზრახული მორატორიუმი გავრცელებული მახლობელ იანვრის გადასახადზე ასეთი გამოურკვევლობის გამო გერმანიამ უნდა შეასრულოს ყველა საჭირო სამზადისი ამ გადასახადის დასაფარავად. ამ მიზნისათვის ლონდონში იმყოფება ამ ჟამად გერმანიის სახელმწიფო ბანკის პრეზიდენტი ჰავენშტეინი.

საფრანგეთ-იაპონიის შეთანხმებისათვის.

საფრანგეთ-იაპონიის გეგმა.

ნაუენი, 4 იან. გერმანიის რადიო). საფრანგეთმა და იაპონიამ გამოიმუშავეს რუსეთის აღდგენის გეგმა, რომელიც თავის საფუძვლებით ეწინააღმდეგება ინგლისის გეგმებს.

საფრანგეთი აღშფოთებულია.

ბორდო, 3 იანვ (საფრანგეთის რადიო). უცხოეთის ზოგიერთმა გაზეთებმა გადაბეჭდეს ვაშინგტონის გაზეთებში გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლების თანახმად საფრანგეთი და იაპონია შეთანხმდენ ერთიან პოლიტიკის შესახებ ციმბირის საკითხში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად უარჰყოფს ამ დოკუმენტებს, შედგენილს, როგორც ეს სამინისტრო აცხადებს, სხვა და სხვა დოკუმენტებისაგან საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა ვაშინგტონში სარრომ მიმართა ხიუგეს ოფიციალური წერილით, რომ ვაშინგტონში გამოქვეყნებული დოკუმენტები წარმოადგენენ ტლანქ სიყალბეს. სარრო აცხადებს: იმ მომენტიდან, როდესაც მოკავშირე სახელმწიფოები ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან შეთანხმებით დაადგინეს სამხედრო ჩარევის პოლიტიკას, მიმართულს განსაკუთრებით გერმანიის წინააღმდეგ, საფრანგეთს არ შეუკრავს და აზრათაც არა ჰქონია არავითარი შეთანხმება არც ერთ სახელმწიფოსთან ციმბირის ბედისა და მდგომარეობის შესახებ.

სარრო ირწმუნება, რომ ჩიტას რესპუბლიკის წარმომადგენელნი აშკარად ცდილობენ უთანხმოება დაბადონ კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოთა შორის, რაც სულაც არ უწყობს ხელს საზოგადო ზავის დამყარებას.

პარიზი, 3 იან. რადიო. საფრანგეთ-იაპონიის კავშირის დოკუმენტების თაობაზე, „ტანი“ სწერს: მეტათ სასიამოვნო იქნება, რომ დაუშვათ სინამდვილე ვაშინგტონში გამოქვეყნებულ დიპლომატიური დოკუმენტებისა, რომლებიც იმდენად ახირებულნი არიან, რომ სრულიადაც არ მოწმობენ სიყალბის ჩამდენთა მოხერხებას. „ტანი“ ამასთან გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ამერიკული პრესის ნაწილი ადვილად მიენდო ამ დოკუმენტებსა და შესაძლებლად სცნო მათი გამოქვეყნება. თითონ ეს ფაქტი აიხსნება იმ პოზიციით, რომელიც დაიჭირა ამერიკულ პრესის იმ ნაწილმა წყალქვეშა ფლოტით ტონნაჟის საკითხის მიმართ.

საფრანგეთის ცოდვებს ამჟღავნებენ.

ნაუენი. 4 იანვარი. (გერმანიის რადიო). „ბერლინერ ტაგებლატ“-ში გამოქვეყნებულია იზვოლსკის სენსაციონური განცხადებანი,—რომლებიც მეტის მეტად უსიამოვნონი არიან საფრანგეთისთვის. საფრანგეთის პრესა ჯერ ძლიერ თავდაჭერით იქცევა. საფრანგეთის ელჩი ღებულობს ყველა ზომებს იმ შთაბეჭდილების შესასუსტებლად, რომელიც მოახდინეს იზვოლსკის განცხადებებმა. ელჩმა ამ გამოაშკარავების გამო სთქვა: საფრანგეთის ერი ყველა სხვა ერებზე უფრო მშვიდობის მოყვარეა.

ვაშინგტონის კონფერენცია.

ლონდონი. 4 იანვარი. (რადიო. „ვესტმინსტერ გაზეთი აქვეყნებს ყოფილ სტატს-სეკრეტარის მასტერმანის განცხადებას, რომელიც ირწმუნება, რომ თუ საფრანგეთს არ მიეცემა უფლება იქონიოს აუცილებლათ საჭირო წყალქვეშა ფლოტი, მაშინ იგი დამოკიდებული იქნება ინგლისის ყოველ ქეიფისგან. მასტერმანი ამტკიცებს, რომ ინგლისისა და საფრანგეთისთვის ერთნაირათ სასარგებლო იქნება არა თუ მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირის შეკვრა, არამედ მისი გამაგრებაც.

რომი. იანვარი. (რადიო). იტალიის დელეგატმა ვაშინგტონში [illegible] პროტესტი განაცხადა წყნარ-ოკეანეს შეთანხმების დამტკიცების წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ წინასწარ მოწესრიგებულ იქმნას საკითხი ატლანტიურ ოკეანეს შესახებ.

კანის კონფერენცია.

უნაყოფო მეცადინეობა.

ნაუენი. 4 იანვარი. (რადიო). კანში უკვე ჩავიდნენ თითქმის ყველა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მოელიან რატენაუს მოსვლას. გერმანიის ფინანსისტთა წრეებს არავითარი იმედი არა აქვთ კანის კონფერენციისა; ისინი ფიქრობენ, რომ საფრანგეთი წინანდებურათ კერპათ მოითხოვს თავის მოთხოვნათა შესრულებას. ბრიანმა უკვე განაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ საფრანგეთი არ დასთმობს არც ერთს იმ გარანტიათაგანს, რომლებითაც მან უზრუნველყო თავისი თავი გერმანიისაგან. ბელგია არა თანხმდება, რომ გერმანიამ 1922 წელს 2 მილიარდის მაგიერ გადაუხადოს მას 4 ნახ. მილიარდი მარკა ოქროთი. გერმანიის პრესსას აღარა აქვს იმედი, რომ კანის კონფერენცია გააუმჯობესებს მდგომარეობას და სძლევს იმ დაბრკოლებათ, რომელნიც წინ ელობებიან ანტანტას დაწყებული ვერსალიდან, გათავებული ლონდონით. საფრანგეთის პრესსაც პესსიმისტურ განწყობილებაშია ინგლის საფრანგეთის ურთიერთობის გამწვავების გამო.

კანის კონფერენცია

საფრანგეთის წინადადება

პარიზი, 1 იანვარი (რადიო). „მატენ“-ი იტყობინება: „კანში ერთხმად მიიღეს საფრანგეთის წინადადება, რომლის უმთავრესი მუხლები შემდეგია: 1) გერმანიამ უნდა გადაიხადოს იანვარსა და თებერვალში შესატანი ფული, 2 გერმანიის შემდეგი გადასახადები შემცირებულ უნდა იქნეს 2„—25 პროცენტით, 3) გარანტიის კომისიამ უნდა იკისროს გერმანიის ფინანსიური კონტროლი და 4 გერმანიის რეიხსბანკის მოქმედება უნდა დაექვემდებაროს ინგლის-საფრანგეთის კონტროლს.

ეკონომიური ქაოსი

ბორდო, 1 იანვარი (რადიო). „პტი პარიზიენ“-ს მოყავს ზოგიერთი ადგილი პროგრამიდან, რომელიც მუშავდება პარიზში მრეწველობის წარმომადგენლების თათბირის მიერ, კანის კონფერენციისათვის წარსადგენად. თათბირი აღიარებს დიდი, კერძო საზოგადოების დაარსების საჭიროებას 1) გზათა მიმოსვლის—რკინის გზების, საზღვაო ნავთსადგურების და ყოველ გვარ სახის ტრანსპორტის აღსადგენად და ექსპლოატაციისათვის და 2 იმ წარმოებათა ხელის შესაწყობად, რომელთაც აქვთ საერთო ინტერესი ცენტრალურ ევროპაში და იმ ქვეყნებში, სადაც სუფევს ეკონომიური ქაოსი. ჯამი, რომელიც საჭიროა საზოგადოების დასაარსებლად, გამოანგარიშებულია 70 მილ. გირ. სტერლინგით ეს კაპიტალი უნდა დაიფაროს ბანკების და კერძო პირების ხელმოწერით. საზოგადოებას უნდა მიეცეს უფლება აწარმოოს საბანკო ოპერაციები და გახსნას განყოფილებები სხვა და სხვა ქვეყნებში, რომლებისადმი გადაწყვეტილი იქნება ფართე ფინანსიური დახმარების აღმოჩენა. საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ მიზანს შეადგენს ყველა ღონისძიებათა განხორციელება, რომელიც მიმართულია რუსეთის და მის მოსაზღვრე ქვეყნების ეკონომიურ აღორძინებისაკენ.

ამ საზოგადოების ორგანიზაციის ინიციატივა ეკუთნის ინგლისს, და ამიტომ ფიქრობენ, რომ ეს გეგმა, თავის განხორციელებაში არ შეხვდება დიდ წინააღმდეგობას. თათბირის უკანასკნელ სხდომაზე თავმჯდომარეობდა ლიუშერი და ამით მიეცა მას ოფიციალობის ხასიათი. თათბირი არ შეხებია საკონტრიბუციო საკითხს, რომელიც უნდა შეიქნეს საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის განხილვის საგნად. ამ კონფერენციის მოწვევა შეტანილია უმაღლეს საბჭოს დღის წესრიგში კანნაში.

„ტან“-ი, ეხება რა მრეწველების თათბირს, აღნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომიური აღორძინება ერთნაირად აინტერესებს ყველა სახელმწიფოებს, რომლებიც ამიტომ სოლიდარულნი უნდა იყვნენ ამ საკითხში, მით უმეტეს, რომ კომერციული კრიზისი, რომელიც მძვინვარებს ევროპაში, საგრძნობლად ღრმავდება რუსეთის ბაზრის, როგორც მწარმოებლის და მომხმარებლის, დახურვის გამო. „ტან“-ი ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ რუსეთს დაუბრუნდეს წარმოების და შესყიდვის უნარი, აგრეთვე საჭიროა დავეხმაროთ იმ სახელმწიფოებს, რომელთათვის ფულის კურსის შემდგომი დაცემა კატასტროფას უდრის. „ტან“ ათავებს წერილს შემდეგი სიტყვებით:

„მაგრამ რომ გადაიჭრას აღძრული საკითხები სასურველად, საჭიროა მივიღოთ დაინტერესებულ ქვეყნებიდან ფორმალური გარანტიები, რომ კერძო საკუთრება და საქონლის გაცვლა-გამოცვლა ისარგებლებენ პატივისცემით და ხელშეუხებლობით“. „ტან“-ის ცნობებით ეს ძირითადი დებულებანი თათბირმა ერთხმად მიიღო. საზოგადოების სტატუტს გამოიმუშავებს საფრანგეთ-ბრიტანიის განსაკუთრებული კომისია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1922 წლის 15 იანვრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. **ხ. ქავთარაძე.**

2 პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხს. ამხ. **მამია ორახელაშვილი.**

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა, წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერთან—მომხს. ამხ. **ნაზარეტიანი.**

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხს. ამხ. **ტოროშელიძე.**

5) საადგილ მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი **ფილიპე მახარაძე.**

6) კოოპერაცია—მომხს. ამხ. **მიხეილ ოკუჯავა.**

7) სასურსათო პოლიტიკა—მომხს. ამხ. ერქომაიშვილი.

8. საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში—მომხსენებელი ამხ. **ბ. კვირკელია.**

9) ეროვნული საკითხი საქართველოში—მომხს. ამხ. **ორახელაშვილი.**

10) პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხს. ამხ. **დონენკო.**

11 პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. **ქავთარაძე**

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13 ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე, პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1 პარტიის წევრთა და კანდიდატების თითეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრს და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6 პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი **ორახელაშვილი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **დონენკო.**

ქრონიკა

◆ **მუშების შობის-ხე ბავშვებისათვის** ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებამ დააარსა კომისია მუშების ბავშვებისათვის სადღესასწაულოთ შობის ხის მოწყობისათვის. შობის ხე გაიმართება 7 რაიონში: მუშათა სასახლეში, ცენტრალურ მუშათა კლუბში ავლაბარში, ავჭალაში, ნავთლუღში, ნაძალადევში და ორთაჭალაში. შობის ხის მოსაწყობათ საჭიროა 25 მილიონი, რაზედაც აღძრული იქნება შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე. შობის ხის მოწყობაში მონაწილეობის მიღება ევალება ყველა კავშირებთან არსებულ მუსიკალურ და დრამატიულ წრეებს.

◆ **სადეზინფექციო მუშაობა** ქალაქის სადეზინფექციო კამერის ცნობების თანახმად 1-ლ 27 დეკემბრამდე ქალაქში იყო: 80 ავადმყოფი მუცლის და შემბრუნებელ ტიფით და 22 ყვავილით. ამ ხნის განმავლობაში სადეზინფექციო კამერამ შეასრულა 215 შენაკვეთი დეზინფექციის გასაკეთებლად და სხვა დავალებანი, გატანილია არამიანცის ქალაქის საავადმყოფოში 64 გვამი და გაკეთებულია დეზინფექცია შენობათა 19920 კუბ. მეტრის სივრცით; ამას გარდა დეზინფექცია უყვეს ნივთებს თვით კამერაში.

◆ **სარაიონო რევკომების გაუქმება** მთავრობის დადგენილებით გაუქმებულია ყველა სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტი. სარაიონო რევკომი, რომელიც იმავე დროს ასრულებს სათემო რევკომის ფუნქციებს, რჩება სათემო რევკომად.

— **სტატისტიკის მუშაკთა კონფერენციის მუშაობის შედეგები.** საქართველოს ს. ს. რ. სტატიკის პასუხისმგებელ მუშაკთა პირველმა კონფერენციამ, რომელიც დამთავრდა გასულ დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში, მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციებისა. კონფერენციამ გამოსთქვა საჭიროება საქართველოს სტატისტიკების ყრილობის მოწვევისა არა უგვიანეს 15 იანვარისა, სათანადო რეზოლიუციით წინადადება მისცა ცენტრალურ სტატისტიკურ მმართველობას მიიღოს ამისათვის ყველა ზომები. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ს. ს. ს. რ. „სტატისტიკურად ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, და რომ ის წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის ქვეყანას, კონფერენციამ დაადგინა მოახდინოს მიმდინარე წელში სასოფლო მეურნეობის დემოგრაფიული აღწერის წარმოება, კონფერენციამ შემდეგ გამოსთქვა აზრი, გაატაროს შეძლების და გვარათ ხალხის ცხოვრების სხვა და სხვა დარგის გამოკვლევანი (ქალაქის აღწერა და სხვა.) როგორც ნაწილნი ერთიანი გეგმის, რომლის შედგენაც დაევალა ცენტრალურ სტატისტიკურ მმართველობას, ეს გეგმა უნდა დაამტკიცოს სტატისტიკოსთა პირველმა ყრილობამ.

◆ **შობის ხე ღარიბ ბავშვთათვის.** ამერიკელთა კომიტეტის გიორგის სასადილოში 7, 8 და 9 იანვარს გამართულ იქნება შობის ხე სასადილოს ბავშვებისათვის. ამ დღეებში ბავშვებს დაურიგებენ საჩუქრებს და გაიმართება კონცერტი არტისტების მონაწილეობით. ასეთივე შობის ხეები ბავშვებისათვის გამართულ იქნება ამერიკელთა კომიტეტის სხვა სასადილოებშიაც.

◆ **საბჭოთა არჩევნები თბილისის მაზრაში** თბილისის სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მესხი აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ მაზრის ყველა თემებში უკვე გაგზავნილია ინსტრუქტორები არჩევნებისათვის, თვით არჩევნები დაიწყება თბილისის მაზრაში ამა იანვრის 20-დან.

◆ **ბანდიტიზმის ლიკვიდაცია.** სართიჭალის რაიონის მილიციის და თბილისის მაზრის სისხლის სამ. განყოფილების თანამშრომლების მიერ მიღებულ ზომებით მოხდა ლიკვიდაცია ამ რაიონში მოთარეშე ყაჩაღთა ბანდებისა. ბრბო ხშირად ჩადიოდა ბოროტმოქმედებას სად. აზამბურის მახლობლად. მიღებულ ზომებით მილიციამ დააპატიმრა ბრბოს წევრები მაზრის სხვა და სხვა ადგილებში, ისინი აღმოჩნდნენ: სოფ. ხაშმის მცხოვრები აბრამ ორგანიშვილი და ევგენი ნახუცრიშვილი, სოფ. სართიჭალიდან—კიდო ცერცვაძე, აბრამ სამუკაშვილი, ალექსანდრე ჯორაშვილი და თედო ცერცვაძე. დაპატიმრებულთ ჩამოერთვათ ნაძარცვი ნივთების ნაწილი ღირებული 40 მილ. მან. მძარცველები იცვნეს და გამოტყდნენ. გამოძიება მათთან ერთად გადაეცა საქ. საგანგებო კომისიას.

◆ **ცენტრალურ საინსტრუქტორო ინსტიტუტში.** ა. წ. 15 იანვრიდან საინსტრუქტორო ინსტიტუტთან დაიწყება ლექციების, საუბრების და მოხსენებების სერია რუსულ და ქართულ ენებზე ახალი შრომის სკოლის აღმშენებლობის, მის ამოცანების, მეთოდების და პროგრამების შესახებ. ლექციებს წაიკითხავენ ყოველკვირა საღამოობით ინსტიტუტის ბინაზე ([illegible] მთავრის ქუჩა, № 52). რა

დღეს და რომელ საათზე იქნება წაკითხული ყოველი ლექცია, ამაზე ცალკე იქნება გამოცხადებული. ლექციებზე შესვლა თავისუფალია ყველა მუშაკთათვის და იმ პირთათვის, რომელთაც ეინტერესებათ აღზრდის და სწავლების საკითხები. სწავლა ინსტიტუტში, ც. კ. პ. კოლეგიის დადგენილებით არ შესწყდება საშობო კანიკულების დროს და კურსანტები არ იქნებიან დათხოვნილნი შინ, რადგან მუშაობას ინსტიტუტში, როგორც სკოლამდე ასაკის განყოფილებაში, ისე სკოლის ინსტრუქტორების განყოფილებაში აქვს სასწრაფო დამკრავი ხასიათი, სალექციო მეცადინეობის რიცხვი საშობაო კანიკულების დროს რამდენამდე შემცირებულ იქნება იმ მიზნით, რომ კურსანტებმა შეიძინონ მონაწილეობის მიღება საღამოებისა, მოხსენებებისა, ექსკურსიებისა და სხვა ამნაირების მოწყობაში. 31 დეკ. დილით კავკ. ცალკე ლაშქრის სამხედრო საბჭ. წევრმა ამხ. ბრიხდნიკოვმა კურსანტებს წაუკითხა ლექცია თემაზე —„ახალი ეკონომიური პოლიტიკა“. საღამოს მოაწყვეს ახალი წლის მიგებება მსმენელთა და მათ მახლობელ ხელმძღვანელთა ვიწრო წრეში. პარასკევს, 6 იანვარს, შობის წინა დღეს, საღამოს 8 საათზე, ამხ. ბრიხდნიკოვი გააკეთებს მოხსენებას ინსტიტუტის მსმენელთათვის თემაზე —„ქრისტე და ქრისტიანობა“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

თეატრი და ხელოვნება

მუშათა ცენტრ. კლუბი.

მუშათა ცენტრ. კლუბის კოლეგიამ წარმოადგინა ს. პ. კ. ს. კულტურ. განყოფილებაში თავის მუშაობის ანგარიში 23 ნოემბრიდან. ამ ხნის განმავლობაში კოლეგიამ მოაწყო კლუბში 5 სექცია: კლუბი, სტუდიები, თეატრი, საბავშო კლუბი და წიგნთსაცავი. ყოველივე სექციას განაგებს თითო კოლეგიის წევრი. კოლეგიის ამოცანას შეადგენდა კლუბის რეორგანიზაცია და მისი გაცხოველება, რადგან ენკენისთვის ნახევრიდან ორკესტრი და დასი „აშვებული იყო. საბავშო მოედანი დაიხურა და კლუბის ცხოვრება სრულებით შეწყდა და საჭირო იყო მისი აღდგენა. კლუბის ცხოვრების უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა მოწყობა სტუდიების, საბავშო კლუბის, თეატრის, კლუბის, როგორც ასეთის, ორკესტრის, ბიბლიოთეკის, ზეპირ გაზეთის და სხ.

მოწყობილ იქნა 5 სტუდია: დრამატიული, სამხატვრო, მუსიკალური, სამეცნიერო და ხორეოგრაფიული და წრე საერთაშორისო ენის ესპერანტოს შესწავლის. ეწყობა მარქსიზმის და საბჭოთა აღმშენებლობის წრეები. პოლიტიკურ ანბანის სწავლა აუცილებელია ყველა სტუდიის მოსწავლეთათვის. მოეწყო საბავშო მოედანი პროფკავშირების წევრების ბავშვებისათვის. კლუბში თამაშის, სიმღერის და სხვა საბავშო გასართობების გარდა სწარმოებს ხელგარჯილობის სწავლება.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით თეატრი გადავიდა სამეურნეო საფუძველზე. რუსული დრამატიული დასი გარდა კლუბის თეატრისა მუშაობს აგრეთვე რაიონულ თეატრებში, მაგ. კომუნ. მეურნ. მუშათა პროფკავშირის მუშ. კლუბში, ნაძალადევში და სხ. წარმოდგენები ფასიანი იმართება, ბილეთების ფასი 5000 მ.—15.000 მანეთამდე. კლუბის წევრების და წითელ არმიელებისთვის ბილეთების ფასი 50 პროც. ნაკლებია. დრამატიულ სტუდიის განვითარებასთან განზრახულია უფასო წარმოდგენების მოწყობა სტუდიის მოსწავლეების ძალებით.

კლუბის ცხოვრება, როგორც ასეთი, სრულიად გამოეყოფა თეატრის და სტუდიურ მუშაობისაგან. კლუბის მუშაობის საფუძველს წარმოადგენს ზეპირი გაზეთი და პოლიტიკურ-განმანათლებელი აღზრდა მასებისა პოლიტიკურ და სამეცნიერო თემებზე მოხსენების მოწყობის საშუალებით.

ზეპირი გაზეთისთვის დათმობილია ცალკე ოთახი მორთული პლაკატებით. გაზეთის მიზანია—მსმენელებისათვის მასალის მიწოდება მიმდინარე მომენტის შესახებ. კლუბის გახსნის დღიდან, ე. ი. 17 დეკემბრიდან გამოვიდა 8 ნომერი ზეპირი გაზეთისა „გაიკა“, მოეწყო 2 კონცერტი, 2 ლექცია და 8 კინომატოგრაფიული სეანსი.

კლუბის ორკესტრი ჯერ-ჯერობით მოწყობის პერიოდში იმყოფება.

ბიბლიოთეკაში მოთავსებულია 10,000 ეგზ. წიგნი, უმეტესი ნაწილი ბელეტრისტიკაა, დანარჩენი კი სამეცნიერო ხასიათის, ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი. ბიბლიოთეკასთან არსებობს სამკითხველო გაზეთებით.

ისახება ერთიან მუშაობის გეგმა ცენტრ. მუშ. კლუბისა რაიონულ კლუბებთან, ამასთან პირველის მუშაობა სახელმძღვანელოდ ითვლება.

სწარმოებს კლუბის წევრების ხელმეორე რეგისტრაცია, წევრების რიცხვი 8000 შემცირებულია 6000-მდე და გაწმენდილია მრავალი არასასურველი ელემენტებისაგან.

როგორც კლუბში, ისე ამასთან არსებულ ყველა ორგანიზაციებში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

ორგანიზაციის პერიოდში იმყოფება „ქართული დრამატიული დასი, ქართული დრამატიული სტუდია და პოლიტანბანის კურსები; ცენტრ. მუშ. კლუბის კოლეგია სცდილობს მოკლე ხანში დაამთავროს მისი მოწყობა.

სადღესასწაულო რეპერტუარი.

შაბათს, 7 იანვარს, კლუბში—ორკესტრი, თეატრში—„უდანაშაულოთ დამნაშავენი“. კვირას, 8 იანვარს, კლუბში—კინო, ზეპირი გაზეთი „გაიკა“, თეატრში—ბალეტი. ორშაბათს 9 იანვარს, თეატრში—„ცხოვრების სიმახინჯე“ სამშაბათს, 10 იანვარს, კლუბში—ორკესტრი, მოხსენება, თეატრში—ქართული წარმოდგენა „მეზობლები“ ოთხშაბათს, 11 იანვარს, თეატრში—კინო, მოხსენება ქართულ ენაზე, თეატრში—სომხური წარმოდგენა,—ხუთშაბათს, 12 იანვარს, კლუბში—ზეპირი გაზეთი, „გაიკა“. ორკესტრი, თეატრში—ბალეტი. პარასკევს, 13 იანვარს, კლუბში—ორკესტრი, თეატრში—საღამო კოროლენკოს სახსოვრათ. შაბათს, 14 იანვარს, კლუბში—ორკესტრი, თეატრში—„იმედის დაღუპვა“. კვირას, 15 იანვარს, კლუბში—ზეპირი გაზეთი, ორკესტრი, თეატრში—დიდი სიმფონიური კონცერტი. ორშაბათს, 16 იანვარს, თეატრში—„ლილიომი“.

რუსთაველის თეატრი

ქართული დრამა.

4 იანვარს, პირველად ამ სეზონში წარმოადგინეს ახალი დადგმით პიესა „სინათლე“ უმთავრეს როლებში გამოვიდნენ: გუნია, ნ. დავითაშვილი, ტასო აბაშიძე. პიესაში მონაწილეობდნენ ხორო, ორკესტრი, და სახელმწიფო ოპერის ბალეტი. ეს პიესა მეტათ მხატვრულათ იყო დადგმული ანდრონიკაშვილის მიერ. მშვენიერი იყო მხატვარ ერისთავის დეკორაციები და თეატრი გაჭედილი იყო ხალხით.

დღეს, 6 იანვარს, ქრისტეს შობის წინა დღეს, თეატრებში წარმოდგენები არ გაიმართება.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საბაზრო ფასები თბილისში.

1922 წლის 1 იანვრისათვის კოლონიალურ და საბაკალეიო საქონელზე.

შაქარი რაფინადი გირ.	32 000
შაქრის ფხვნილი გირვან.	26—28,000
სახარინი ფრანგული	22,000
სახარინი გერმანული	14,000
მომპასიე	25—28,000
ქიშმიში	12—16,000
თაფლი	35,000
კახური ჩურჩხელა	5,000
ერევნის ჩურჩხელა	30,000
კაკაო წონით	100,000
კაკაო Pirika	80,000
ქერის ყავა ნახევარი გირ.	10,000
შედედებული რძე	35—40,000
ინგლისური ჩაი Nomena S ერთი მერვ. გირ.	40,000
ვისოცკის ჩაი	80,000
ბოგატირი ჩაი	80,000
ჩაქვის ჩაი	50—60,000
იტალიური ბულიონის კუბ.	50
ვაშლის ჩირი	5,000
მსხლის ჩირი	10,000
ატმის ჩირი	8,000
კაკალი გირვანქა	4—8,000
კაკალი გარჩეული	12,000
წაბლი გირვანქა	4,000
მჟავე კომპოსტო	5,000
პამიდორის მწნილი	6,000
ტომატი წონით	10,000
დაფნის ფოთოლი	5,000
დარიჩინი	8,000
ზეთის ხილი	15,000
მდოგვი გამზადებული ნახევარი გირვანქა	12,000
ძმარი	15,000

წყალსადენების და სარწყავი არხების მოწყობა თბილისის მაზრაში.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტის გიდრო მექანიკურ განყოფილებას განზრახული აქვს მიმდინარე წელში წყალ სადენის გასაკეთებელი მუშაობა აწარმოვოს შემდეგ სოფლებში: მარტყოფში, ნორიოში, ანთოკში, პატარძეულში, მარაბდაში, კოდაში, მანავში, დიდ ლილოში, მცხეთაში; ამას გარდა სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგ მიწების მორწყვის მიზნით, განზრახულია სარწყავი არხების გაყვანა ავჭალაში და სხ.

მარტყოფში ამ მუშაობის გიდროალმშენებლობის ყველა გეგმები და ხარჯთ აღრიცხვა სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კომისიამ უკვე განიხილა და მოიწონა.

დებულება სამორტიზაციო ფონდის შესახებ.

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო ს. მ. უ. ს. ცენტრალურ წარმოებით განყოფილების მიერ შემუშავებული დებულება საამორტიზაციო ფონდის შესახებ, რომლის ძალით ს. მ. უ. ს. აფუძნებს ხელშეუხებელ საამორტიზაციო ფონდს.

ს. მ. უ. ს. ორგანოების მიერ მის წარმოებათა იჯარადრებისგან მიღებული საამორტიზაციო თანხები ფულად დაუყონებლივ შეაქვთ სახელმწიფო ბანკში განსაკუთრებულ ანგარიშზე. მათგანვე და იმავ თანხის ანგარიშში მიღებული საქონელი, პროდუქტები და ნაწარმოები იყიდება მომარაგების საბჭოს საშუალებით და აღებული ფული აგრეთვე სახელმწიფო ბანკში შეაქვთ. ამ უკანასკნელის მოვალეობას შეადგენს ეს თანხები აქციოს მაგარ ვალიუტათ.

საამორტიზაციო ფონდს ს. მ. უ. ს. ხარჯავს მხოლოთ მანქანების განსაახლებლათ და ს. მ. უ. ს. წარმოებათა აღსაჭურველათ.

ს. მ. უ. ს. ყველა წარმოებები, რომლებსაც იგი თითონ ამუშავებს, თავის მასალების და პროდუქტების ნაწარმოების ნაწილს აძლევენ აგრეთვე საამორტიზაციო ფონდს; ამასთან მათ რეალიზაციას ახდენს მომარაგების საბჭო ზემოხსენებული წესით.

შინა მრეწველობის გამოკვლევა.

სპეციალურმა თათბირმა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან გამოსთქვა აზრი, რომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შინა მრეწველობის გამოკვლევა დაევალოს ცენტრ. სტატ. სამმართველოს ს. მ. უ. ს. შინა მრეწველობის განყოფილების აუცილებელი მონაწილეობით.

ამასთან თათბირმა ანგარიში გაუწია ცენტრ. სტატ. სამართველოს, როგორც სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოს, მეცნიერულ-სტატისტიკურ ინტერესებს და ს. მ. უ. ს. პრაქტიკულ ინტერესებს.

იმის შემდეგ, როცა გამოირკვევა, რამოდენა თანხას გადასდებს ს. მ. უ. ს. საანკეტო ფურცლების დასაბეჭდათ და ცნობების შესაკრებათ, შინა მრეწველობის განყოფილება და ცენტრალური სტატ. სამმართველო შეუდგებიან გამოკვლევას.

რადგან საქართველოს ს. ს. რ. შინა მრეწველობის ყველაზე მეტათ გავრცელებულ დარგს წარმოადგენს მატყლის საფეიქრო საქმე, ამიტომ გადასწყვიტეს თავდაპირველათ ეს დარგი გამოიკვლიონ.

კოოპერაცია

მთლიანია თუ არა მუშათა კოოპერატივი?

მუშათა მთლიანი კოოპერატივის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში ირჩეოდა თბილისის მუშათა კოოპერაციის მდგომარეობის საორგანიზაციო საკითხი. აქ აღნიშნეს, რომ თბილისში მუშათა კოოპერაციის დაარსების პირველსავე დღეებში მიიღეს მთლიანი კოოპერატივის სისტემა მრავალი დუქნებით ყველა რაიონებში. ეს საორგანიზაციო სქემა არა ერთხელ იყო დადასტურებული საქართველოს პროფსაბჭოში, ფაბრიკების ცალკე კავშირების კრებაზე, პროფკავშირების პლენუმებზე და სხვ.

მუშათა მთლიან კოოპერატივის დაარსების მომენტში თბილისში არსებობდენ მუშების და მოსამსახურეების გამაერთიანებელი შემდეგი კოოპერატივები: 1. ქალაქის რევკომის მუშებისა და მოსამსახურეების „ეკონომიური საზოგადოება“, 2. „სანოვაგე“, (მიწადმოქმედების კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებისა), 3. „აღორძინება“, 4. კოოპერატივი ყოფილ ქალაქთა კავშირის თანამშრომლებისა და 5. სახელმწიფო მოსამსახურეების ეკონომიური საზოგადოება. გარდა უკანასკნელისა, რომელიც პროფ-საბჭოს პლენუმის დადგენილების თანახმად გაუქმდა და შეუერთდა მუშათა მთლიან კოოპერატივს, ყველა დანარჩენი კოოპერატივები. განაგრძობენ არსებობას და პარალელურათ მუშაობს მუშათა მთლიან კოოპერატივთან.

აღნიშნულ კოოპერატივების წარმომადგენლებთან მთელი რიგის მოლაპარაკებების შემდეგ გამოირკვა ერთი საერთო დებულება: 1) რომ ამ კოოპერატივების გამგეობები სრულიადაც არ უჩქარიან საორგანიზაციო საკითხის—მთლიან მუშათა კოოპერატივთან შეერთების საქმის—დაწყებას; 2) აღნიშნულ კოოპერატივების წევრების დიდი უმრავლესობა ირიცხება მთლიან მუშათა კოოპერატივის წევრებათ. მაგალითად: ქალაქის რევკომის მოსამსახურეების „ეკონომიურ საზოგადოებაში“, რომელიც აერთებს დაახლოვებით 4,000 წევრს, თითქმის ყველა ამავე დროს ირიცხება მთლიან მუშათა კოოპერატივის წევრებათ ყველა დაწესებულებების და წარმოებების მუშა-მოსამსახურეების და მუშათა მთლიან კოოპერატივის სიების შედარების შემდეგ გამოირკვა, რომ გამგეობების წევრებთან ერთად უმრავლესობა მუშათა მთლიან კოოპერატივის წევრებია. იგივე ითქმის სხვა კოოპერატივებზე.

რაც შეეხება კოოპერატივს „აღორძინებას“, მისი წევრები, როგორც მისი მთელი მოქმედება ძნელი აღსარიცხავია. „აღორძინების“ წესდებით ჯერ კიდევ მენშევიკების დროს მის წევრებათ ყოფნა შეეძლოთ მხოლოდ პროფ. კავშირების წევრებს და მშრომელ ინტელიგენტებს, რომლებიც ეხლა შედიან ამა თუ იმ პროფ. კავშირებში. ეს წევრები გაბნეულია სხვადასხვა წარმოებებში და დაწესებულებებში, და თუ გამოვალთ მთლიან მუშათა კოოპერატივში ჩაწერილ წევრების და საერთო მუშა-მოსამსახურეების რიცხვების დამოკიდებულებისაგან, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მათი დიდი უმრავლესობა ირიცხება მთლიან მუშათა კოოპერატივის წევრებათაც.

ძველი კოოპერატივის ნაშთთა აგრეთვე კოოპერატივი ყოფილ ქალაქთა კავშირის თანამშრომლებისა, რომლებიც (რიცხვით 100 კაცი) გაბნეულია ამჟამად სხვა და სხვა დაწესებულებებში (უმთავრესად სახალხო მეურნ. უმაღლესი საბჭოში) და ერთდროულად ირიცხებიან მთლიან მუშათა კოოპერატივის წევრებათ.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილება ფიქრობს, რომ დადგა მომენტი როდესაც მუშათა მთლიანი თუ არა მთლიანი კოოპერატივის საკითხი თბილისში უნდა გადაიჭრას საბოლოოდ.

პროფესიონალური დისციპლინის წესით ყველა ცალკე მუშათა კოოპერატივები უნდა შეერთებულიყვნენ მთლიან კოოპერატივთან. ამ საკითხის მეტი გაჭიანურება შეუძლებელია, რადგანაც ცალკე მუშათა კოოპერატივების არსებობა იწვევს და ხელს უწყობს მუშა-მოსამსახურეების ზოგიერთ წრეებში თავის კოოპერატივების გახსნის სურვილს მუშათა მთლიან კოოპერატივთან ერთად.

გარდა ამისა, რომ მუშა-მოსამსახურეების ერთდროულად არსებობა ორივე კოოპერატივში არღვევს სახალხო სასურსათო კომიტეტის დეკრეტს, ეს მდგომარეობა მიღებულია მთელი რიგი საქმიანი მოსაზრებითაც: მუშა-მოსამსახურეების ნაწილი იმყოფება პრივილეგიურ მდგომარეობაში და სარგებლობენ პროდუქტებით ორივე კოოპერატივიდან; ზოგიერთი კოოპერატივები, რომლებიც ითვალისწინებენ მათ ახლო მომავალში მუშათა მთლიან კოოპერატივთან შეერთების, ამ მდგომარეობის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, აწარმოებენ მიზანშეუწონელ კონკურენციას მთლიან კოოპერატივის წინააღმდეგ, ყიდიან თავის საქონელ განზრახ დაკლებულ ფასებში ამ უკანასკნელის ავტორიტეტის დასაცემად; არავითარი კონტროლი ამ კოოპერატივების მოქმედებაზე არ არსებობს და ამიტომ ახლო ხანებში შესაძლებელია მათი ფინანსიური კრახი. რაც მთლიანად მუშათა კლასისათვის არაა სულ ერთი. ამის გარდა მუშათა კოოპერატივების დაქსაქსული მყიდველობითი ძალა, ბაზარზე შეუთანხმებელი გამოსვლა და სხვა შედეგი ასეთი მდგომარეობისა,—მეტად უარყოფით გავლენას ახდენს მუშათა კოოპერაციის საერთო განვითარებაზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 122

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტების გაუქმების შესახებ.

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტი (დეკ. № 23, მუხ 2).

2. სარაიონო რევოლიუციონური კომიტეტი, რომელიც იმავე დროს სათემო რევოლიუციონური კომიტეტის ფუნქციებს ასრულებს, უნდა დარჩეს სათემო რევოლიუციონურ კომიტეტად.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკველია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ, იანვრის 1.

ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 605.

სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატისადმი.

კანდიდატების და მოადგილეების მოსამზადებლად ს. ს. რ. რ. სამხედრო ნაწილებში, სამმართველოებსა და დაწესებულებებში, თავისუფალ ადმინისტრატიულ—სამეურნეო თანამდებობათა დასაკავებლად სამხედრო უწყებაში,—საერთო სამხედრო სკოლის უფროსთა შემადგენლობის განმეორებითი კურსებთან, სამხ. საზ სახ. კომ. ბრძანებით 1921 წ. 22 დეკემბრიდან № 581. გამოცხადებულ შტატის თანახმად, გაიხსნას ადმინისტრატიულ—სამეურნეო სამსახურის განყოფილება.

კურსების აღნიშნულ განყოფილებაზე მიიღებიან მსურველები მუშების და გლეხების წრიდან, აგრეთვე ყოფილი ოფიცრები და სამხედრო მოხელენი, როგორც მყოფნი საქართველოს არმიის სამსახურში, ისე ვინც ირიცხება უვადო შვებულებაში,—შემდეგი პირობით: ა) თუ თავისუფლად იციან ქართული ენა, ბ) აქვთ კარგი სასამსახურო და ზნეობრივი ატესტაცია, ან გ) სათანადო პოლიტიკური რეკომენდაცია და დ) განათლების ცენზი არა ნაკლებ საშუალო სასწავლებლის 4 კლასის.

კურსებზე შემოსვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ თავისი საბუთები განმეორებით კურსების სასწავლო ნაწილში (გიმნაზიის ქ., რუსთაველის პრ., ვაჟთა გიმნაზიის შენობა არა უგვიანეს 1922 წლის 20 იანვრისა.

მსურველთა დიდი რიცხვის შემთხვევაში ვბრძანებ მოხდეს მათ შორის კონკურსი, რისთვისაც დაარსდეს კომისია. საერთო სამხედრო სკოლის უფროსის თავმჯდომარეობით შემდეგი შემადგენლობით: განმეორებით კურსების უფროსი იმავე კურსების სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის სამეურნეო ნაწილის უფროსი და განმეორებითი კურსების ადმინისტრატიულ სამეურნეო განყოფილების მსმენელთა გამგე.

გარედან კურსებზე მიღებული მსმენელნი ჩაირიცხონ სამხ. საზ. სახ. კომისარიატის შტატებში [illegible] მიეცეთ მათ დაკმაყოფილება საერთო სამხედრო სკოლის წითელ-არმიელთა კურსების არა სრულ კომპლექტის ხარჯზე.

ადმინისტრატიულ-სამეურნეო სამსახურის განყოფილების საგამგებლოდ განმეორებითი კურსების შტატს მიემატოს მსმენელთა მესამე გამგე, მაგ. განყოფილებაში სწავლების დაკისრებით, საერთო სკოლაში შტატით დაწესებულ ორმოცი მასწავლებლის ხარჯზე. მეცადინეობა განყოფილებაში დაიწყოს არა უგვიანეს 1922 წლის 30 იანვრისა.

სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის მოადგილე **კუზნეცოვი.**

შტაბის უფროსი გენშტაბისა **სუდევანოვი.**

ქ. თბილისი.

29 დეკემბერი 1921 წ.

ბრძანება.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარისა, 26 დეკემბერს 1921 წ.

იმ საჩივართა განსახილველათ, რომელნიც შემოტანილ იქნებიან სარაიონო გადასახადთა საკრებულოების დადგენილებათა თაობაზე, ფინანსთა კომისარიატის დებულების თანახმათ, არსდება 21 განსაკუთრებული საკრებულო: რესპუბლიკის 15 მაზრაში, ბათომში ბათომის ოლქიანათ და ქალ. ფოთში,—თითო, ხოლო თბილისში თბილისის მაზრიანათ ოთხი, რისთვისაც ქალ. თბილისი თბილისის მაზრით იყოფა 4 რაიონათ; 1 რაიონში შედიან 1 მე-2 და მე 3 გადასახადთა განყოფილებანი, მე-2 რაიონში—მე 4, მე 5 და მე 6 გადასახადთა განყოფილებანი და თბილისის მაზრა; მე 3 რაიონში—მე-7, მე-8 და მე-9 და მე 4 რაიონში—მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 გადასახადთა განყოფილებანი.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბიბინეიშვილი.**

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი ნაძალადევი ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ბულვარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible]ნოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ბეჭვდითი სიტყვის ცენტრ-ბიუროსაგან

I

სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი ნაწარმოების გამავრცელებელ ცენტრბიურო აცხადებს პროვინციის ყოფილ აგენტების, მეგაზეთეების, რკინის გზის კიოსკების გამგეებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ თანახმა საქ. საბ. სოც. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის № 85 დეკრეტისა (იხ. „კომუნისტი“ № 250), საჭიროა პროვინციის ქალაქებსა და დაბებში ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა-გასავრცელებლად კონტრაგენტები, რომლებიც დეკრეტის მე-5 მუხლის თანახმად ამ თანამდებობაზე მიიღებიან ადგილობრივი პარტიული კომიტეტის და რევოლიუციონურ კომიტეტის რეკომენდაციით. დანარჩენი სავალდებულო პირობები, ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა-გავრცელების პროვინციელ აგენტებისათვის გათვალისწინებულია დეკრეტის სათანადო მუხლებში.

აგენტობის მსურველებმა დაუყოვნებლივ უნდა წარადგინონ სათანადო განცხადება პირობების აღნიშვნით ცენტრ-ბიუროში (რუსთაველის პროსპექტი № 11).

II

სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭვდითი ნაწარმოების გამავრცელებელი ცენტრბიურო ამით აცხადებს საბჭოთა დაწესებულებების, პროფკავშირების, პარტიული ორგანიზაციების და კერძო ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ 1922 წლის 1 იანვრიდან, თანახმად საქ. სოც. საბ. რევოლ. კომიტეტის № 85 დეკრეტისა (იხ. „კომუნისტი“ № 250), იწყება ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა. ყველა აღნიშნულ დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა დაუყონებლივ უნდა წარადგინონ ცენტრბიუროში (რუსთაველის პრ. № 11, ცნობა თუ რამდენი ცალი ამა თუ იმ გაზეთისა უნდა გაეგზავნოს მათ, განცხადების მიუღებლად გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

ხელის მოწერის პირობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბეჭდვითი სიტყვის ცენტრბიურო.

პარტიული

— მე-24-ხე რაიონის გამწმენდი კომისია ა. კ. კ. თბილისის ორგანიზაციისა აცხადებს კავშირის ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომლებიც არ გატარებულან გაწმენდაში ცალ-ცალკე, რომ უკანასკნელ დღეთ გაწმენდისა გამოცხადებულია პარასკევი 6 იანვარი და 7 იანვარი. გაწმენდა იწარმოებს თბილისის კომიტეტის შენობაში დღის 4 საათიდან. ვინც ამ რიცხვებში არ გამოცხადდება გაწმენდაზე, ჩაითვლება გამორიცხულათ. მე-4-ხე რაიონის გამწმენდი კომისიაში შეუძლიათ გატარდენ გაწმენდაში აგრეთვე მათ ვინც გამორჩენილია დანარჩენ რაიონებში.

მე-4 ხე რაიონის გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე სტაკი.

— საქართველოს კომპარტიის მე 4 რაიკომი პარტიული დისციპლინის წესით წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადნენ რაიკომის აღრიცხვა განყოფილებაში:

1. ბახტაძე სერგო, 2. იაკობაშვილი შალვა, 3. ცომაია კლიმენტი, 4. ნუცუბიძე გრიგოლი, 5. ბაკურაძე ევგენი, 6. პაპავა შალვა, 7. ოდილავაძე შალვა, 8. ცომაია პარმენ, 9. ხუნდაძე გრიგოლ, 10. კლდიაშვილი დიმიტრი, 11. ალიაშვილი ივანე, 12. ნუცუბიძე სამსონ, 13. ქორიძე გრიგოლ, 14. ფირცხალავა იონა, 15. მგელაძე გიორგი, 16. კალანდარაშვილი ირაკლი, 17. ქვარიანი დავით. 18. მჭედლიშვილი თომა, 19. მესხი ივლიან, 20. ლონტი გიორგი, 21. ხუნდაძე ჭულა, 22 ასათიანი ანტი[illegible] 23. ხარებავა პატული, 24. შენგელია არჩილ, 25. ხუხუნი ევგენი, 26. ნუცუბიძე შალვა, 27. კალაიანი ოტია, 28. დოლონაძე ვასილი, 29. ბუჩაიძე.

პასუხისმგებელი მდივანი **ი. ბურჯანაძე.**

ტირაჟი 10,000 ნ. ფ. ხ. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ., № 5.